ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 30 ნოემბერი 1996 №127 (352) ფასი 40 თეთრი



გუშინ ავლაბრის სტადიონზე: ასკ — სიონი 1:2

გურამ [illegible] ფოტო

## ინგლისში ჟორდანიაღა დარჩა...



დანარჩენი დინამოელები კი ხუთშაბათს თბილისში გამოემგზავრნენ. ჯერ კიდევ „ბარნსლისთან" თამაშის შემდეგ გაჩნდა ეჭვი, რომ ჩვენი ჩემპიონი ინგლისში მეტ მატჩს ველარ გამართავდა. ასეც მოხდა. თუ რატომ და როგორ მოხდა ეს, დაწვრილებით თბილისში ჩამოსულთაგან უკეთ შეიტყობთ. აქ კი მხოლოდ კლუბის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია დარჩა. გუშინწინ იგი მანჩესტერში „სიტის" თავმჯდომარე ფრენსის ლის შეხვდა გიო ქინქლაძის თაობაზე. სანამ სხვას ვიტყოდე, მოგახსენებთ, რომ „სიტის" უკუღმართი საქმეების შემყურე გულშემატკივრები უკვე თავად ლის გადადგომას ითხოვენ. ეს არარეალურად არც სპეციალისტებს უჩანთ. ყველა თვლის, რომ პირველი დივიზიონის ქვედა ნაწილში დამკვიდრებულ გუნდს 3-4 ახალი ფეხბურთელის ყიდვა თუ უშველის, საამისო ფული კი არ ჩანს. სამი დღის წინ ერთმა გაზეთმა დაწერა, „სიტის" ერთადერთი კაპიტალი ქინქლაძეა და მისი გაყიდვა თუ მოუტანს საჭირო ფულს გუნდსო. მაგრამ ლის ამბავი კარგად მოგეხსენებათ: არა და არ იტეხს იხტიბარს ეს კაცი და ამბობს, თუ პრემიერლიგაში არ დავბრუნდით (?), გიო მხოლოდ მაშინ გაიყიდებაო. როგორც გავარკვიე, დიდი პროგრესი ამ საქმეში არც ლისა და ჟორდანიას შეხვედრას შეუტანია — „სიტის" თავმჯდომარეს უთქვამს, 2-3 თვე მაცადეთ, ხალხი რამენაირად შევამზადო ცნობისთვის, რომ გიოს ვყიდით და მერეო...

მერე რა იქნება, არავინ იცის. არადა, ამასწინათ გიომ მითხრა — ოღონდ ამ გუნდს მოვშორდე და სადაც მეტყვიან, იქ წავალო.

**დავით მხედლიშვილი,**
**ლონდონიდან**

## ექიმები გოგიჩაიშვილს უცდიან

კახა გოგიჩაიშვილის თავს დატრიალებული ამბები დაუხანებლად გაცნობეთ. თბილისის „დინამოსა" და ეროვნული ნაკრების ნახევარმცველის ჯანმრთელობის მდგომარეობის საკითხი მანამდე იქნება აქტუალური, სანამ გოგიჩა მწვანე მინდორს არ დაუბრუნდება. კახას ნახვას გუშინაც შევეცადეთ, მაგრამ, ექიმებმა, პალატაში ნუ შეხვალთ, ასე სჯობსო. ცხადია, დავმორჩილდით, ამის გასაგებად სხვა გზა ვეძიეთ და ასე აღმოვჩნდით უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორთან ლაურ მანაგაძესთან:

— ახალი ჯერჯერობით არაფერია, ისევ ვიცდით, დავაკვირდებით, ვნახოთ... ისე, პაციენტი უკეთ გამოიყურება, მაგრამ გადაჭრით რამის მტკიცება ჯერ არ შეიძლება. კახას ხანდახან სიცხე უწევს, ტემპერატურა თამაშობს, რაც არასასურველია, მაგრამ საგანგაშო ნამდვილად არ არის. ნავარჯიშები და ნაწრთობი ორგანიზმი საბოლოოდ დასძლევს ავადმყოფობას, საამისოდ კი დროა საჭირო. ასეთი ტრავმის შემდეგ ორიოდ დღეში ფეხზე არავინ წამომდგარა — აგვიხსნა დასტაქარმა.

გასარკვევგასაგები მეტი არაფერი გვქონდა და ბატონ ლაურს დავემშვიდობეთ. მთავარი ისაა, რომ გოგიჩას ყურადღება არ აკლია. ერთმა გარემოებამ ჩაგვაფიქრა მხოლოდ: ჩვენს იქ ყოფნაში შუქი რამდენჯერმე ჩაქრა და აინთო, არადა, ნებისმიერ საავადმყოფოში ელექტროენერგია მუდმივადაა საჭირო. როგორც დავადგინეთ, უროლოგიის ინსტიტუტს დავალიანება არ აღმოაჩნდა და თელასის ხელმძღვანელებმა ესაც უნდა გაითვალისწინონ. ჩვენ კი ვეცდებით სისტემატურად მოგაწოდოთ ინფორმაცია კახას მდგომარეობის შესახებ, მანამდე კი ლოდინი დაგვრჩენია.

**მამუკა კვანტალიანი**



## გუშინ საქართველოს თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩები გაიმართა



მერანი — გორდა 3:0 (1:0)
ასკ — სიონი 1:2 (1:3)
შევარდენი — ივერია 2:1 (0:0)
კოლხეთი — სამტრედია 3:1 (2:0)
მარგვეთი — გურია 3:1 (2:1)
ტორპედო — ბათუმი 1:0 (0:4)
ოდიში — სამგურალი 5:1 (2:0)

მეოთხედფინალში ითამაშებენ: მერანი, სიონი, შევარდენი, კოლხეთი, მარგვეთი, ბათუმი და ოდიში. ამათ „დინამო" — „დინამო 2"-ს შორის გამარჯვებული დაემატება.

იხილეთ მეორე გვერდი

## საქართველოს თასი



### შევარდენი 2:1 იბერია

**შევარდენი:** სიდამონიძე, თელიაშვილი, ვერემჩუკი, თ. კობიაშვილი, მინდიაშვილი, მელქაძე, როსტიაშვილი, კობესაშვილი (ე. ალადაშვილი 78), კანკავა, ქორიძე, ჩიგოშვილი (ცვაზავა 84)

**იბერია:** ხვედელიძე, ნეკერაშვილი, შ. ლაცაბიძე, ლომიძე (გ. ლურსმანაშვილი 53), ზ. ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ტყემალაძე, ჩიდუნელი (ზირაქაძე 79), კალმახელიძე (გლუნჩაძე 61), წივწივაძე, თორია

0:1 წივწივაძე (31), 1:1 კობესაშვილი (51), 2:1 როსტიაშვილი (58)

**მსაჯი:** ე. სილაგავა (თბილისი)

პირველი მატჩის მერე მასპინძელთა მთავარ მწვრთნელს მალხაზ ლაცაბიძეს დაუქადნია, საპასუხო შეხვედრას მოვიგებთ თბილისშიო. მწვრთნელმა დანაქადი ნაწილობრივ შეასრულა — სტუმრებმა მხოლოდ პირველი ტაიმი მოუგეს მასპინძლებს. ივერიელები ორივე ტაიმში თანაბრად რომ ვერ იბრძოლებდნენ, ეს თამაშამდეც ცნობილი იყო. ხელმოკლე „ივერია", ფაქტიურად, არ ვარჯიშობს და თამაშზეღა იკრიბება. აი, გუშინაც ხაშურელები „შევარდენის" სტადიონს ცალ-ცალკე, ნაწილ-ნაწილ მოადგნენ. კლუბის ერთ-ერთ წარმომადგენელს რომ დავეკითხე, გუნდის სრულად შეკრების იმედი თუ გაქვს-მეთქი, ესღა მიპასუხა, მოვლენ, აბა, რას იზამენო. ივერიელები მართლაც სრულად შეიკრიბნენ, ეს იყო, მატჩამდელ მოთელვაზე თამაშის დაწყებამდე ხუთი წუთით ადრე გამოვიდნენ და ხეირიანად გახურებას რაღას შეძლებდნენ, მაგრამ, ეტყობა, ამას შეჩვეულები არიან. აკი პირველ ნახევარში მასპინძლებს არაფერი დაუთმეს და, პირიქით, აჯობეს კიდეც. „შევარდენი" მეტოქეზე გაცილებით უკეთ და გააზრებულად კი თამაშობდა, მაგრამ მასპინძელთა ყველა შეტევა საჯარიმოს მისადგომებთან ბრკოლდებოდა. თამაშს თავისებური ელფერი იმანაც შესძინა, რომ მატჩის წინ ხმა დაირხა, შევარდენელ კობიაშვილისა და ივერიელ ზაზა ლაცაბიძის საქმეში სანახავად ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ეროვნული ნაკრების თავკაცი მობრძანდებიანო. ეს ყოველივე კობიაშვილმაც და ლაცაბიძემაც შეიტყვეს და თავს რას დაზოგავდნენ. ამპლუით ცენტრალურმა მცველებმა დანაკისრებს მართლაც კარგად გაართვეს თავი. ორივე პერსპექტიული მოთამაშე კია, მაგრამ ჯერ კიდევ დასაღვინებელნი გახლავან, ასე რომ, წინ დიდი გარჯა უდევთ, ეროვნული გუნდი კი მერე ვნახოთ... თამაშზე ახალკაცი მართლაც მოვიდა, მაგრამ ჩივაძე არ გამოჩენილა, მის ნაცვლად ფედერაციის გენერალური მდივანი ვიხილეთ. პრეზიდენტი და გენმდივანი მხოლოდ პირველ ნახევარს დაესწრნენ და მერე სხვა მატჩზე გასწიეს.

თამაში, მართალია, საშუალო ტემპში დაიწყო, მაგრამ ჯიგრიანი კი გამოდგა. მთელი 45 წუთის განმავლობაში ორადორი სახიფათო მომენტი შეიქმნა, დანარჩენი დრო მეტოქეებმა მინდვრის შუაგულში ბრძოლას მოანდომეს. მცველები უფრო ვაჟკაცობდნენ. მასპინძელთა დაცვამ პირველმა შესცოდა: მელქაძემ მინდვრის ცენტრში სტუმარ წივწივაძესთან ორთაბრძოლა წააგო, ჰამლეტმაც ბურთი მოიგდო, ვერცხლისწყალივით მოძრავი ჩაა თორია მოძებნა, ამან კი პასის დაბრუნება არ დაუხანა და წივწივაძეც პირისპირ დარჩა სიდამონიძესთან. ვერემჩუკმა და კობიაშვილმა დაზღვევაზე თამაში დაიგვიანეს, ხაშურელმა კი ხელიდან არ გაუშვა შანსი. მასპინძლებმა თამაში ცენტრიდან დაიწყეს და ერთმანეთს შეუძახეს, არაუშავს, ყველაფერი წინ არისო, მაგრამ სახეიროს ვერას აჰერხებდნენ. 44-ე წუთზეღა შექმნეს სახიფათო მომენტი, ისიც შორეული დარტყმით: მელქაძემ ბურთი მკერდით მიიღო, ჩამოიღო, ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ ხარიხას გაარტყა.

მეორე ტაიმში სურათი შეიცვალა. „შევარდენი" უფრო მობილურად ათამაშდა, შეტევებსაც უხშირა, მაგრამ ივერიელებმა მხოლოდ თავიანთ თავს დააბრალონ ორი ბურთის გაშვება. ყველაფერი გაირკვა იმ რვა წუთში, სტუმრები რაღაცამ თუ ვიღაცამ ისე რომ დააბნია, ლამის საკუთარ კარშიც გაიტანეს: საჯარიმოში ჩაკიდებული მცველმა რატომღაც საკუთარ კარში დაარტყა, ხვედელიძემ კი მოიგერია, მაგრამ ბურთი იქვე მდგომმა მინდიაშვილმა ჩაიგდო და მისკენ გამოჭრილი თანაგუნდელი დროზე შენიშნა. კობესაშვილმაც დაგორებული ბურთი ერთი შეხებით შეაგდო კარში. ხაშურელებს ეს ანგარიშიც ხელს აძლევდათ, მაგრამ „შევარდენი" სჯიდა სხვაგვარად. რამდენიმე წუთში მასპინძლებმა მეორედ და საბოლოოდ გაიხარეს: კარიდან საკმაოდ მოშორებით, ზურგშექცევით მდგარმა როსტიაშვილმა მელქაძისგან პასი მიიღო, არ დააყოვნა, შემოტრიალდა და დაარტყა. ხვედელიძე აშკარად შეცდა პოზიციის შერჩევაში და ბურთი ახლო კუთხეში გაუშვა. ამის შემდეგ „შევარდენმა" უკან დაიხია, საკუთარი კარის მისადგომები გაამაგრა და კონტრშეტევაში თამაში ირჩია. „ივერიას", თავისთავად, უნდა შეეტია, სხვა გზა აღარც ჰქონდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ვერემჩუკმა მასპინძელთა დაცვა ისე შეადუღაბა, რომ იგი სტუმართათვის გაუვალი შეიქმნა. ის კი არა, ორჯერ შეტევაში გართულ ხაშურელებს კობესაშვილი და ქორიძე მეკარესთან პირისპირ დაურჩათ, ამათ კი როგორღაც მოახერხეს და ვერ გაიტანეს — ორივემ ბურთი ძელს გაარტყა.

**მამუკა ქვანტალიანი**



თბილისელი ილია კანკავას და ხაშურელი შალვა ლაცაბიძის (ბურთით) ბრძოლა

# კაკუბავას «ჰეთ-თრიქი»

### მერანი 3:0 გორდა

**მერანი:** ნაჭყებია, ივანიშვილი, ამბიძე, ჯიმჯარიანი (კენჭიაშვილი 56), კაკუბავა, გოგიბერიშვილი, კვარაცხელია, მაზიაშვილი, ჭოლოკავა (ბუტიკაშვილი 62), დავითაშვილი, პერტია (თოლორდავა 67)

**გორდა:** ჭიჭინაძე (კოროშინაძე 46), კედელაშვილი, მურჯიკნელი, პატარიძე, სახვაძე, გაბელაია, მელიძე (ზექალური 46), არსოშვილი (მუმკუდიანი 70), ჯელაძე, მენთეშაშვილი, მეტრეველი

1:0 პერტია (24), 2:0 დავითაშვილი (41), 3:0 კვარაცხელია (71)

**მსაჯი:** ი. კახიანი (სამტრედია)

წარმომიდგენია მკითხველის გაოცება როცა გატანილი გოლების ნუსხაში სათაურში მოხსენიებულ დემურ კაკუბავას გვარს ერთხელაც ვერ ამოიკითხავს. გთხოვთ ცოტაოდენი მოითმინოთ, ჯერ ნუ დამძრახავთ, რადგან ბოლოში, დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით.

იტყვიან „მერანმა" რუსთავში მოუთავა ხელი „გორდასო" და მართლები არ იქნებიან. ჯერ ერთი, სტუმრად 1:0 საკმაოდ სარისკო სათასო ანგარიშია, რადგან მეტოქე საპასუხო მატჩში უეჭველად ვა-ბანკზე წამოვა და ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს. მეორეც — რამდენიმე დღეა, „გორდას" სათავეში რეზო ჩელებაძე ჩაუდგა და ვინც მას იცნობს, უეჭველად მიხვდება, რა გრძნობით და მიზნებით ჩავიდა ჩელებაძე რუსთავში, მოკლედ, იმის თქმა მინდა, თბილისელებს განმეორებითი მატჩის წინ ნაღდი არ ეპირათ-მეთქი.

„მერანის" თამაში მიზეზთა გამო წელს პირველად ვნახე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რამდენი შეძლებია მწვრთნელის გარჯას. თუმურ მახარაძემ უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ, თუ მინიმალურ პირობებს შეუქმნი, მუშაობა იცის. განა „მერანმა" რომელიმე ფეხბურთელს ეგრეთ წოდებული რამდენიმეათასიანი „პადიომნი" ჩაუჩხრიალა, ანაც მანქანები უყიდა სეზონის წინ? ვინ არიან „მერანის" ლიდერები, თუ არა მავანთაგან დაწუნებულნი? ნახეთ კვარაცხელიას, დოლიძის, ქორიძის, ჭოლოკავას, დავითაშვილის, კაკუბავას, ახალგაზრდა გოგიბერაშვილის თამაში „მერანში" და დარწმუნდებით, რომ ზოგ კლუბში ათასობით დოლარის საფასურად წასულ ფეხბურთელებს არათუ ჩამოუვარდებიან, პირიქით... მოკლედ, თუკი გასაქანს მისცემ, არც მთლად უმწვრთნელობაა საქართველოში და ჩრდილიდან გამოსული თემურ მახარაძის და მისი თანაშემწის — სერგო გაბელაიას მაგალითიც ამის დასტურია. ამ და ზოგიერთი ბიჭების (ჯაგა, ფერო, სოსო ფრუიძე და სხვები) მიერ უცხოურ სკოლებში, თუნდაც მოსკოვში თეორიული ცოდნის გაღრმავება, ვფიქრობ, დიდ სიკეთეს მოუტანს ქართველ ფეხბურთს.

მოკლედ, სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ „მერანი" ათჯერ მეტ ქებას იმსახურებს და პირობას გაძლევთ, ამ თემას სხვა დროსაც დავუბრუნდები.

ახლა მატჩზე. ამ თამაშში წესით ჩვენთვის ყბადაღებული „პირველი გოლის" ფაქტორი მართლაც გადმწყვეტი უნდა ყოფილიყო. იგი „მერანმა" გაიტანა: კვარაცხელიამ შეტევა დაიწყო, ჭოლოკავამ იბრძოლა, დემურ კაკუბავამ მარცხენა ფრთიდან მოჭრილად ჩაჰკიდა საჯარიმოში და პირველ მატჩში გოლის გამტანმა ნარუსთაველმა პერტიამ ჰაერშივე ლამაზად დაუხვედრა ტერფი, დარტყმა მეკარე ჭიჭინაძემ მოიგერია, მაგრამ პერტიასვე მიუვიდა და ამანაც კარში შეიტანა.

მაგრამ დახეთ საოცრებას! რუსთაველები „პირველი გოლის ფაქტორმა" არ გატეხა, ხუთიოდ წუთში მათ ზედიზედ სამჯერ შექმნეს საგოლე მომენტი, მაგრამ მერანელთა გოლკიპერი რეზო ნაჭყებია მაგრამ დაუხვდა, დაუხვდა კი არა... არმაზ ჯელაძის თაური როგორ გამოაძრო ულამაზეს ნახტომში, ერთ ნახვად ღირდა! მანამდე იმავე ჯელაძის პირისპირ გასვლა უვნებელყო და ამის მერე მენთეშაშვილს ჩინებული დარტყმა ასევე ლამაზი ნახტომით მოიგერია. წელს ნაჭყებიამ პირველად ითამაშა ძირითადში (მეთექვსმეტედფინალში მეორეჯგუფელი „შირაქი" რომ არ ჩავთვალოთ) და თუ ამ სამ მოგერიებულს მეორე ტაიმში კიდევ ორ უცნაურ შეგერიებულ დარტყმას მივათვლით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ძირითადის მართლაც ჩინებულ მეკარეს — გუბაზ დოლიძეს მეტად ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდა...

„მერანმა" კი მეტოქეს სამი საგოლე მომენტის გამოუყენებლობა არ აპატია და ტაიმის მიწურულს დემურ კაკუბავას მარცხნიდან მოჭრილი ჩაგდება საჯარიმოში „აბრეზა" დავითაშვილმა ტერფის ერთი შეხებით რუსთაველთა ცხრიანში გატანილ გოლად აქცია. მაყურებელთა ნაწილმა — გაუვარდაო. არ ვიცი, დავითაშვილი კარში ურტყამდა თუ ფეხი შემთხვევით გაარტყა, მაგრამ ასეთი სილამაზის გოლები რომ წამდაუწუმ და შემთხვევით არ გადის, ფაქტია. ასევე ითქმის კვარაცხელიას მართლაც ფანტასტიურ მესამე გოლზე: კაკუბავამ მარცხნიდან ჩაუგდო ბურთი საჯარიმოში მერანელ ფორვარდს, ამან გახედა, თითქოს კოროშინაძეს კუთხე მიანიშნა, აი, იქ გირტყამო და მოჭრილი თაურით გადამხტარ კოროშინაძეს მარცხენა ცხრიანში ჩაუგდო. მოკლედ, ულამაზესი გოლი გახლდათ...

ერთი სიტყვით, ჩვენი უსახური ჩემპიონატი „მერანმა" ერთობ შეალამაზა და გუნდის ხელმძღვანელობა ახლა უნდა დატრიალდეს, გუნდი ერთი-ორი კაცით კიდევ გააძლიეროს და, გარწმუნებთ, სეზონის წინ აუტსაიდერად მიჩნეული გუნდი ინტერტოტოს თასის საგზურს მოიპოვებს...

მართალი არ ვიქნები, თუ ერთ ნიჭიერ ბიჭზე — ალეკო გოგიბერიშვილზე არ მოგახსენებთ, „მერანის" დაცვაშიც რომ გამოირჩეოდა და წინაც სახიფათოდ უტევდა. 19 წლის გოგიბერიშვილი ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელებს არ უნდა დარჩეთ უყურადღებოდ.

დასასრულს კი ვიტყვი: დაკვირვებული მკითხველი სათაურში უეჭველად დამეთანხმება...

**მამუკა კვარაცხელია**

# „სიონს" გუნება გამოუკეთდა

### ასკ 1:2 სიონი

**ასკ:** ბიწაძე, პაპუაშვილი, გულაშვილი, მაისურაძე, გველესიანი, სუხიტაშვილი, მონასელიძე (ჭელიძე 80), პოზოიანი, ტარიელაშვილი, დობორჯგინიძე (ამირიძე 46), გოგოლაძე (აფციაური 46)

**სიონი:** დალაქიშვილი, გაბრიჭიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, მეფარიშვილი, ჩომახიძე (ნაცვლიშვილი 78), ტარტარაშვილი, სამხარაძე, ისიანი (ჯაფარიძე 78), გაბისონია, მეტრეველი

0:1 გაბისონია (57), 0:2 მეტრეველი (72 პ); 1:2 აფციაური (90)

**გაფრთხილება:** მეტრეველი

**მსაჯი:** მ. კობიაშვილი (დუშეთი)

პირველი შეხვედრის ანგარიში და „სიონში" შექმნილი ვითარება არმიელებს მოგების იმედს უტოვებდა. სტუმრებმა სხვადასხვა მიზეზის გამო ძირითადის სამი მოთამაშე — ჯაგიძისი, ქოიავა და ჯიქიძე მოისაკლისეს. ამით შეგულიანებული მასპინძლები პირველი წუთებიდანვე საიერიშოდ განეწყვნენ. მეტოქეებს ერთნაირი ტაქტიკური განლაგება ჰქონდათ — 4-4-2. მოედანზე თავიდანვე უშეღავათო ბრძოლა გაიმართა, მოთამაშეები ერთმანეთს მოედნის არცერთ გოჯს არ უთმობდნენ და ცდილობდნენ, გასაქანი არ მიეცათ ერთმანეთისთვის. ამ მხრივ უფრო მარჯვენი სტუმრები იყვნენ, რომელთა ამოცანა პირველ მატჩში მიღწეული ორბურთიანი უპირატესობის შენარჩუნება გახლდათ. თუმცა, სიონელები მხოლოდ დაცვაში არ ირჯებოდნენ, მეტრეველი — გაბისონიას მეტად აქტიური დუეტი შეტევის წამოწყების მცირე შანსსაც არ უშვებდა ხელიდან. და მაინც, პირველ ტაიმში მასპინძლები უკეთ გამოიყურებოდნენ — ხიფათი უფრო ხშირად „სიონის" კართან იქმნებოდა. მე-7 წუთზე არმიელთა კაპიტანი მაისურაძე ეფექტურად გასცდა სტუმართა ორ მცველს, მაგრამ დარტყმულ ბურთს ბოლნისელთა გოლკიპერი დალაქიშვილი მშვიდად დაეუფლა. მე-9 წუთზე დობორჯგინიძემ პენალტის ნიშნულთან გოგოლაძეს ჩააწოდა, აქ უკვე მცველებმა ივაჟკაცეს და სიტუაცია განმუხტეს. ასე გაგრძელდა ტაიმის შუაგულამდე. თუ მანამდე უფრო მასპინძლები უტევდნენ, ამის შემდეგ სიონელები გააქტიურდნენ, რაკი დაინახეს, რომ არმიელთა თავდასხმა ფხიანად ვერ თამაშობდა. თამაშიც უფრო გაიხსნა და ორივე კართან სახიფათო მომენტებმა იმატა. მასპინძელთაგან გამოირჩეოდა ტარიელაშვილი, რომელმაც მარცხენა ნახევარმცველის ადგილი დობორჯგინიძეს გაუცვალა. ერთხელ მან გოლის გატანის შესაძლებლობა ვერ გამოიყენა — მეტად სუსტად დაარტყა და „სიონიც" გოლს გადაურჩა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ტაიმში ყველაზე სახიფათო მომენტი არმიელთა კართან შეიქმნა „სიონის" სწრაფად გათამაშებული კომბინაციის შედეგად: ბურთი საჯარიმოს ხაზთან სამხარაძემ მიიღო და უმალ კარისკენ გააზავნა, მაგრამ არმიელთა მეკარე ბიწაძის თავგანწირულმა ნახტომმა მასპინძლები უეჭველი გოლისგან იხსნა. პირველი ტაიმი უშედეგოდ დასრულდა, ეს, რა თქმა უნდა, ხელს არ აძლევდათ არმიელებს. ამიტომ მთავარმა მწვრთნელმა თამაზ მონასელიძემ თავდასხმის გასაძლიერებლად მეორე ტაიმში შეცვლები და ტაქტიკური გადაადგილებები მოახდინა: მოედანზე აფციაური და ამირიძე შეიყვანა, მარჯვენა ნახევარმცველი მაისურაძე ცენტრში გადაიყვანა, გამთამაშებელი მონასელიძე კი — მარცხენა ნახევარმცველად. თუმცა, შეცვლებმა და გადაადგილებებმა არ გაამართლა და პირიქით მოხდა — „სიონმა" გაილაღა. კვლავ გამოირჩეოდნენ გაბისონია და მეტრეველი. 55-ე წუთზე მასპინძლებმა თამაშგარე მდგომარეობის შექმნა სცადეს, მაგრამ არ გამოუვიდათ. ამ დროს გაბისონია კარგ დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა, თუმცა მომენტით ვერ ისარგებლა. 57-ე წუთზე კი გელამ შანსი ხელიდან არ გაუშვა: ისიანმა მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში მცველთაგან უმეთვალყურეოდ დარჩენილი მოძებნა და ამანაც თაურით ანგარიში გახსნა. გოლმა მასპინძლები გატეხა, ისინი ძველებურად ველარ აქტიურობდნენ, ოთხი ბურთის გატანა უკვე შეუძლებელი იყო. მოგებას ვიღა ჩივის, თამაშის სადავეები ხელიდან გაუშვეს და 15 წუთში მეორე გოლიც გაუშვეს. გაბისონია — მეტრეველის გარჯამ კვლავ გამოიღო ნაყოფი. გაბისონიამ მეტრეველს საჯარიმოში მიაწოდა, მეკარემ ბურთს კარისკენ გზა გადაუღობა და არბიტრმაც პენალტის დანიშვნა არ დააყოვნა. მეტრეველის დარტმა ზუსტი გამოდგა. ამის შემდეგ ბოლნისელები მოეშვნენ და მათ კართან რამდენიმე მწვავე მომენტიც შეიქმნა, მაგრამ აფციაურის, ამირიძის, ტარიელაშვილისა და პოზოიანის დარტყმებმა მიზანს ვერ მიაღწია. 88-ე წუთზე კი გაბისონიამ გააფუჭა ნაღდი საგოლე მომენტი. ყველაფერს ბოლო წუთზე აფციაურის ახლოდან დარტყმულმა მოჰფინა ნათელი — 1:2. გამარჯვებამ ბოლნისელები შემდეგ წრეში გაიყვანა და მათი ბოლოდროინდელი წარუმატებელი სერიაც შეწყდა. გუნდის მწვრთნელის ფირუზ რეხვიაშვილის თქმით, „სიონის" ფინანსური მდგომარეობაც გაუმჯობესებულა. მატჩის წინ მოთამაშეებს დავალიანების ნაწილი გაუსტუმრეს. საფეხბურთო კულისებში საუბრობენ იმის თაობაზეც, რომ, შესძლოა, ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომზე ხელახლა გაირჩეს „სიონი" — „კოლხეთის" შეხვედრა და ბოლნისელებს უკან მიუთვალონ სამი ქულა.

თუმცა, დანამდვილებით რა იქნება მალე გაირკვევა, რაზეც მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული „სიონის" მომავალი.

**მერაბ მამულაშვილი**

### ტორპედო 1:0 ბათუმი

**ტორპედო:** მამარდაშვილი, შეყრილაძე, რ. თურმანიძე, რუხაძე, სოდილიანი, ჯინჭარაძე, კვეტენაძე, შენგელია, მ. მეგრელაძე, აშვეთია, ვაჩიბერაძე (გ. მეგრელაძე 54)

**ბათუმი:** ტოგონიძე (მალაყმაძე 86), სიჭინავა, მინდაძე, მაქაცარია (ზონიძე 70), შეყილაძე, ი. მახარაძე, მ. მახარაძე, ლლონტი, ტულუში, უჯმაჯურიძე, მუჯირი

1:0 შეყრილაძე (65)

**გაფრთხილება:** მ. მახარაძე, შეყილაძე

**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

# მიშა ჯიშკარიანი: სკამს მტერი შეეგუა...


ბადრი ქეთილაძის ფოტო

იყო დრო, მიშა ჯიშკარიანი საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ და გულშემატკივართა იმედსაც ამართლებდა. მაშინ იყო, მიშას „ურწმუნო“ რომ შევარქვით, რაკილა არც ქართული გუნდების ევროთასებზე გასვლის შესაძლებლობისა სწამდა და არც ნაკრების შესარჩევ თამაშებში დაშვებისა. ისე, მიშა ურწმუნოსთან ერთად უიღბლოც ყოფილა, რადგან არსად გაუმართლა, პოტენცია, ვფიქრობ, ვერსად გამოამჟღავნა. ახლაც ასეა: უფულობის მიზეზით „კამაზში“ ძლიერი ფეხბურთელები არ მიდიან და გუნდის დაბალი შედეგიანობის გამო საყვედურის ჯოხი მიშაზე ტყდება — თუ მაგარი ფორვარდია, ცოტა გოლები რად გააქვსო. ნაკრებშია და... 1991 წელს მოლდოვასთან 31 წუთი ითამაშა და გოლი გაიტანა, მერე კვიპროსთან 18 წუთით გამოიყვანეს (ეს ყველაფერი გიგა ნორაკიძის ხელში), ჩივაძემ კი ერთდერთხელ ათამაშა, ალბანეთში, იქაც 25 წუთი და თანაც ნახევარმცველად. მოკლედ, საერთო ჯამში ნაკრების სამ მატჩში 74 წუთი გამოუდის ნათამაშები. იტალიასთან და ინგლისთან კი სკამს არ გასცილებია...

ვშიშობ, ვინმემ ეს წერილი ისე არ გაიგოს, თითქოს საქართველოს ნაკრების იმედები მიშა ჯიშკარიანზე დამემყარებინოს, მაგრამ ისაც ხომ ცხადია, რომ თუ კაცს შანსი არ მიეცი, ისე მისი შესაძლებლობების შეფასება შეუძლებელია. ხშირად ყოფილა, მწვრთნელის ნდობა კრიტიკულ სიტუაციაში ფეხბურთელს ენერგიას უათკეცებს. თუნდაც ევროპის ჩემპიონატზე შირერისა და თბილისში ფერდინანდის მაგალითი ავიღოთ (ვიცი, ზოგი ჩაიქირქილებს, ამანაც შეადარა რაღაო). ასეა თუ ისე, ჩემი აზრით, ჯიშკარიანი ამ უფორვარდობისას ნაღდად გამოგვადგებოდა (კიდევ ერთი ხელჩასაჭიდი ოპონენტებისთვის).

**— მიშა, შენმა სეხნიამ ყაველაშვილმა არჩია საერთოდ აღარ გამოეძახათ, ნაკრებში, რაკილა შანსს არ აძლევდნენ. შენ რას ფიქრობ?**

— სკამზე ჯდომას მართლაცდა გამოუძახებლობა სჯობს. ძალზე ძნელია, როცა სკამიდან უყურებ, როგორ აგებს შენი გუნდი. ამ დროს გულში იმის იმედი გიღვივის, რომ მწვრთნელი მოედანზე გაგიშვებს და რაღაცას შეცვლი. ყველა ფეხბურთელი ასე ფიქრობს და როცა თამაშის ბოლომდე სკამზე ზიხარ, მუდამ გრჩება დაუკმაყოფილებლობის გრძნობა.

ისე ყაველაშვილი, რა თქმა უნდა, მართალია, მესამედ მატჩის მხოლოდ ყურებას ნაღდად ვერ გადავიტან, სჯობს, არ გამოგიძახონ და შინ უყურო თამაშს, გეცოდინება მაინც, რომ ვერაფრით დაეხმარები შენიანებს...

**— ზოგის აზრით, ინგლისთან გამარჯვების შანსი არ გვქონდა...**

— შანსი როგორ არ გვქონდა, ამის თქმა სისულელეა, თუ ასე ვიფიქრეთ, არაფერი გამოვა.

**— მაინც როგორ უნდა მოგვეგო?**

— ჩემი აზრით, თავდასხმაში შეტევის გაგრძელების ერთადერთი ვარიანტი გვქონდა, რაკილა ინგლისელები კომპაქტურად აზრჩობდნენ ჩვენს შეტევებს. ოთხი-ხუთი კაცი რომ ყოფილიყო დაკავებული ჩვენი შეტევის წინა ხაზზე და ჩვენს ბურთიან ნახევარმცველს ოთხი-ხუთი გაგრძელების საშუალება ჰქონოდა, აი, მაშინ გვექნებოდა წარმატების შანსი. ქინქლაძემ და ჯამარაულმა იციან ამ დროს უკეთესი გაგრძელების ამორჩევა. აქ კი ერთი, მაქსიმუმ ორი კაცი იხსნებოდა წინ, ინგლისელები კი, ვიმეორებ, კომპაქტურად აზრჩობდნენ ბურთიან ჩვენიანს და უბურთო გახსნილსაც. ზემოთ ნახსენები ვარიანტებისას, მე მგონი, ძალა და საშუალება აღარ ეყოფოდათ ჩვენების მოსაგუდად.

**— ყაველაშვილმა აღნიშნა, რომ ინგლისთა თავდასხმასა და დაცვას შორის დაშორება 20-30 მეტრი იყო, რაც, ფაქტიურად, ჩვენთვის წინაღმართულ კედლად იქცა...**

— ინგლისელები მართლაც მჭიდროდ თამაშობდნენ, მაგრამ საჭიროებისამებრ მშვენივრად იშლებოდნენ. მოკლედ, თავის საქმე ჩინებულად იცოდნენ...

**— ზოგი წაგებას მთლიანად ფეხბურთელებს აბრალებს...**

— თუ იმას ფიქრობენ, რომ ვინმემ თავი დაზოგა, ძალიან ცდებიან. სხვა საქმეა, რომ ბიჭებს თამაში არ გამოუვიდათ. არ მეგულება საქართველოს ეროვნული გუნდის წევრი, ნაკრების თამაშზე სრულად არ დაიხარჯოს...

**— შენ თუ ესაუბრე მთავარ მწვრთნელს თამაშის მერე?**

— არა, არ მისაუბრია. კაცს დანა პირს არ უხსნის და როგორი საქმეა, შენს პირად პრობლემებზე ესაუბრო, რატომ არ გამომიყვანეო. მწვრთნელის საქმეა, ვის დააყენებს და ვის არა. მე ის კი ვიცი, რომ რაღაც შემიძლია, მაგრამ, სამწუხაროდ, სკამზე მჯდომმა რა გავაკეთო.

**— იტალიასთან „კარგი თამაშით“ წავაგეთ, შენი აზრით, თუ შეიძლებოდა იმ თამაშის მოგება და როგორ?**

— იცით რა, არ მინდა ვინმეს ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, ჯიშკარიანი ჩივაძემ არ ათამაშა და ახლა ნაწყენი კაცის პოზიციიდან ლაპარაკობსო. მწვრთნელისა და ფეხბურთელის ურთიერთობა რთული საქმეა, უარის თქმაზე ადვილი რა არის, მაგრამ ყველას გულში უღვივის საიმისო იმედის ნაპერწკალი, რომ შანსს მისცემენ. მწვრთნელთან ურთიერთობა პირადად ჩემი საქმეა და ჩვენ მოვილაპარაკებთ, თუმცა, ვიმეორებ — თუ დავრწმუნდი, რომ კვლავ სკამისთვის მიძახებენ, რა თქმა უნდა, აღარ ჩამოვალ. აქ თავმოყვარეობის ამბავიცაა.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, ასე გიპასუხებთ: კი, შეიძლებოდა იტალიასთან მოგება, მაგრამ, ვიმეორებ, უფორვარდოდ ძალზე ძნელია გოლების გატანა. შემეკამათებიან, განა ქეცბაია ფორვარდი არ იყოო? იყო, როგორ არა, ქეცბა ჩინებული ფეხბურთელია და არავისზე ნაკლებად არ უტევდა, მაგრამ მას წინ დამხმარე ანუ კარზე დაგეშილი ფორვარდი სჭირდებოდა. ქეცბა ისეთი ფეხბურთელია, ყველასთან გამონახავს საერთო ენას, ჩვენი შეტევებიც უფრო ეფექტური იქნებოდა და ალბათ გოლსაც გავიტანდით. ეს ჩემი აზრია, თანაც ახლა ადვილია საუბარი, როცა ვერაფერს გამოასწორებ, მაგრამ, ვფიქრობ, ის იტალია არ იყო იმ დღეს უძლეველი.

**— პირველი გოლის ფაქტორი უკვე სასაცილო გახდა. რა გჭირთ?**

— მეც მეცინება, ეტყობა, ქართველები ვართ ასე აწყობილნი, აი, „კამაზში“ კი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. გაგვიტანენ გოლს და უფრო მეტი ენერგიით ვუტევთ, ყოფილა შემთხვევა, ერთი კი არა, ორი გოლი ამოგვიქაჩავს...

**— იქნებ ნაკრებს ფსიქოლოგებისთვის მიემართა?**

— მე მგონი, კარგი იქნება. „კამაზში“ საგანგებოდ, სხვა ქალაქიდან ჩამოჰყავთ ფსიქოლოგი. ბიჭები ამბობენ, რომ იგი მათ დიდ დახმარებას უწევს. რამდენადაც ვიცი, რუსეთის სხვა გუნდებშიც ასეა.

**— მოდი, ნაკრებზე საუბარი დროებით შევწყვიტოთ და შენს საკლუბო საქმეებზე ვილაპარაკოთ. „კამაზთან“ კონტრაქტი, რამდენადაც ვიცი, დაგიმთავრდა.**

— ეს კი ასეა, მაგრამ ჩეტვერიკს საკონტრაქტო პირობები ჯერ არ შეუსრულებია, ამიტომ დეკემბრის შუა რიცხვებში კიდევ ერთხელ მომიწევს ჩასვლა ნაბერეჟნიე ჩელნიში და პასუხის მოთხოვნა. ისე, მე კიდევ რა მიჭირს, „კამაზში“ ისეთებიც არია, შარშანწინდელი კუთვნილიც რამ არ აუღიათ...

**— „კამაზი“ უფულობას უჩიოდა. არადა, გავიგე, მწვრთნელად ბენიამინას ზელკიავიჩუსი ჩამოიყვანაო. ლოტბელი ის კაცი არ არის, უფულო და უპერსპექტივო გუნდში მოვიდეს. რა იშოვა „კამაზმა“ ასეთი?**

— გუნდში ფული არის, მაგრამ სად ქრება, საკვირველია. ზელკიავიჩუსი რომ უფულოდ არ ჩამოვიდოდა, ესეც ნათელია. ამიტომაც მაქვს იმედი, რომ შარშანდელ დავალიანებას გადამიხდიან.

**— შენზე რას ფიქრობს ზელკიავიჩუსი?**

— დამირეკეს, ჩემზე უთქვამს, მიშა აუცილებლად უნდა დავტოვო და კიდევ ერთი ათლეტური ფორვარდი უნდა მივახმაროო. გუნდიდან წასულ მეკარე ზახაროვის ნაცვლად უკვე ჩამოუყვანია ლიტველი მეკარე. ცუდი ისაა, რომ კარგი გამთამაშებელი, ევდოკიმოვი „სპარტაკმა“ წაიყვანა, ფორვარდი დურნევი კი ნიჟნი ნოვგოროდმა. თუმცა, ეს ზელკიავიჩუსის პრობლემებია.

**— ესე იგი, „კამაზში“ დარჩენას არ აპირებ...**

— არა, რატომ? თუ შარშანდელი ამინაზღაურეს და კიდევ ერთი წლით შემომთავაზეს კონტრაქტი, ხაზს ვუსვამ, ერთი წლით, თანაც წინასწარ გამინაღდეს ყველაფერი, მაშინ დავრჩები. თანაც წელს ინტერტოტოს საგზური და მეექვსე ადგილი უნდათ, ზელკიავიჩუსიც იმიტომ ჩამოიყვანეს. ეს ჩემთვის სტიმულია, მაგრამ ახალ კონტრაქტს ისე შევადგენ, რომ იურისტის ხელი ერიოს — მეცოდინება, კონტრაქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში როგორ მოვიქცე, თორემ ახლანდელი კონტრაქტები ფარატინა ქაღალდებია.

**— რუსეთს, ეტყობა, მიეჩვიე. სხვა იქაური გუნდები ხომ არ შეგხმიანებიან?**

— ჯერ არავის მოუმართავს. ისე კი გავიგე, რომ სადირინს უთქვამს, თუ „ზენიტში“ დავრჩი, ჯიშკარიანს უთუოდ გადმოვიყვანო. ისაც გავიგე, კაცსაც ამზადებდა ჩემთან გამოსაგზავნად და კონტრაქტსაც, მაგრამ... თუმცა, ახლა მთელი საფეხბურთო პეტერბურგი აჯანყებულა, სადირინი დაგვიბრუნეთო...

აი, „ზენიტში“ კი მართლაც დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი.

**— დავუშვათ და, „კამაზში“ არ დარჩი, მაშინ?**

— მაშინ დავჯდები სახლში და წინადადებებს დაველოდები. სამი წლის წინაც ასე არ იყო, კიევიდან რომ დამირეკეს და „დინამოში“ მომიწვიეს? ახლაც დამირეკავს ვინმე. თუმცა, ამის იმედად, ბუნებრივია, არ ვიქნები, რადგან რუსეთში მყავს მეგობარი, რომელსაც აქვს უფლება ჩემი სახელით ილაპარაკოს. ვიცი, რომ უგუნდოდ არ დავრჩები.

**— საქართველოში თამაში აღარ გინდა?**

— არა, ეს გამორიცხულია. ყოველ შემთხვევაში, უახლესი წლების განმავლობაში საქართველოში არ ვითამაშებ. ვისაც გინდა ეწყინოს, მაგრამ როდესაც ჩვენებური უცხოეთის გემოს გაიგებს, უჭირს შინ დაბრუნება.

**მამუკა კვარაცხელია**



## ბათუმში ჯდომას ფოთში თამაში სჯობს

სანდო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ მეორე წრიდან ფოთის „კოლხეთის“ რიგებში შესაძლოა „ბათუმის“ თავდამსხმელი, წარმოშობით ფოთელი დავით მახარაძე ვიხილოთ. მიზეზი უბრალოა — ფოთელები თავდამსხმლის ნაკლებობას განიცდიან, მახარაძე კი „ბათუმში“ სათადარიგოთა შორისაა. თუმცა, მახარიძის „კოლხეთში“ გადასვლის საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა, მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

## ელაშვილი ბავშვებს უზრუნდება



„სამტრედიის“ ყოფილი მწვრთნელი კახა ელაშვილი გუნდიდან წასვლის შემდეგ უმუშევრად დარჩა. თუმცა სულ ცოტა ხნის წინ მეტად საჭირო საქმისთვის მოუკიდია ხელი — სამტრედიაში ბავშვთა საკუთარი საფეხბურთო სკოლის დაარსება განუზრახავს.

— ჯერ კიდევ 1980 წელს ვაპირებდი ამას, მაგრამ „ზემოთ“ არსებული წინააღმდეგობა ვერ დავძლიე. ფეხბურთის დიდი ქომაგების — ვაჟა მსხილაძისა და მიხეილ ბალანჩივაძის დახმარებით შევუდექი საქმეს. სკოლის ადგილიც შევარჩიეთ — ქალაქის ცენტრში, ყოფილი 28-ე პროფტექსასწავლებლის ტერიტორიაზე. მინდა ბავშვთა მწვრთნელები შემოვიკრიბო და ზემოთ აღნიშნულ პირთა დახმარებით მუშაობის ნორმალური პირობები შევუქმნა. პირობებში, უპირველესად, მატერიალურ და ტექნიკურ მხარეს ვგულისხმობ.

## ყაველაშვილი ვარჯიშს შეუდგა

„სიონის“ ცენტრალური მცველი მურად ყაველაშვილი მენისკის ტრავმის გამო პირველ წრეში მოედანზე ფაქტიურად არც გამოსულა. როგორც მურადმა გვითხრა, მას უკვე გაუკეთებია ოპერაცია და ვარჯიშიც დაუწყია.


ფირმების რეგისტრაცია აუდიტი

ყველაზე იაფად და სწრაფად (1 დღეში)
(შ.პ.ს., ინდივიდუალური საწარმო, ს.ს.)

რუსთაველის 19.
ტელ.: 93-52-34, 99-09-84; 73-89-39 (18 საათიდან)

ვისაც გსურთ გახდომა და ამას ვერ ახერხებთ დამოუკიდებლად

ინფორმაციას გახდომის 30 დღიანი ღონისძიების შესახებ მიიღებთ ტელეფონზე:
985897
დილის 9-დან 11-მდე და საღამოს 17-დან 23-მდე



ნაძალადევის რაიონში, გადასასვლელ ხიდთან, შეღავათიან ფასებში ფუნქციონირებს უახლესი აპარატურით აღჭურვილი კომპიუტერზე მუშაობის სწრაფშემსწავლელი კურსები.

მსურველებმა დარეკეთ: დღისით 95 09 12
საღამოს 39 37 31
ციცინო

სპორტულ ფეხსაცმელს და ჯინსებს – მუდამ რომ არის მოდაში,
ყველაზე იაფად გთავაზობთ ამერიკული „ჯორდაში“

JORDACHE®

მაღაზიები: თავისუფლების მოედანი 7 (ცეკავშირთან), თამარ მეფის გამზ. 23.
საბითუმო ვაჭრობა: შპს „ჯორტუნა“ ტელ: 93-55-26

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი

### სიტი 3:2 ვესტ ბრომვიჩი

**სიტი: მარგეტსონი, კრუკსი, ბრაისვე-ლი, ლომასი, საიმონსი, უახალი, სა-მერბი, ჰინი, დიკოვი (უიტლი 81), ქინქლაძე, როსლერი**

**გოლი: როსლერი (8); ქინქლაძე (21 პ. 37 პ), პეშისოლიდო (34), ჰამილტო-ნი (56)**

„მეინ როუდზე", პირველობის გამოტოვებულ მატჩში, „ვესტ ბრომვიჩმა" ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშა. პირველი ნახევარი სტუმართა გუნდმა პირწმინდად წააგო, მეორეში კი შეუტია და „სიტი" საკუთარი საჯარიმოს მიდამოებს მიაჯაჭვა. აშკარა იყო, რომ შესვენებისას „ვესტ ბრომვიჩის ფეხბურთელებმა მწვრთნელის ალან ბაკლის გონივრული რჩევები ისმინეს და ყურადღაც იღეს.

და მაინც, კარების შეცვლიდან 11 წუთში გატანილი მხოლოდ ერთი გოლი, მანჩესტერში ჩასულთ პირველი 45 წუთის შედეგის გასაქვითად არ ეყოთ. ამრიგად, „სიტიმ" ხუთი თამაშის შემდეგ მეექვსეში შეძლო „ვესტ ბრომვიჩის" ძლევა, რომელსაც, თავის მხრივ კიდევ ერთი სვლა შეუწყდა, აქედან, სტუმრად, ბოლო 15 შეხვედრაში არ წაეგო.

მე-8 წუთი იყო, როდესაც „სიტის" გერმანელმა თავდამსხმელმა უვე როსლერმა ანგარიში გახსნა. სხვათაშორის, მატჩის წინა დღეს გავრცელდა ჭორი, რომ მის ყიდვას „სანდერლენდი" აპირებს და საამისოდ 1,7 მილიონ გირვანქას იხდის. ჭორი „სანდერლენდმა" აგორების დღესვე უარჰყო, როსლერმა კი „სიტის" ერთგულების დასამტკიცებლად ჩაიდინა ის, რაც 17 სექტემბრის მერე არ ჩაედინა — გოლი შეაგდო. საგოლე პასი, მარცხენა ფრთიდან, ნიკი სამერბიმ ჩააწოდა. გერმანელი მეტოქის მცველებზე საგრძნობლად მაღლა ახტა და თავურით პოლ კრიჩტონის კარი მოინადირა.

მე-12 წუთზე „ვესტ ბრომვიჩს" ანგარიშის გათანაბრება შეეძლო. კანადელი პოლ პეშისოლიდოს პასით ენდი ჰანტს ჩინებული მდგომარეობა შეექმნა, მაგრამ მისი დარტყმა მარტინ მარგენტსონმა მოიგერია.

„სიტი" ისე ყოჩაღობდა, რომ ანგარიშის გაზრდა არეის გაკვირვებაა. ნახევარ მილიონად ცოტა ხნის წინ შეძენილი ნილ ჰინი პოლ ჰოლმსმა საჯარიმოში წააქცია. პენალტის დარტყმა საქართველოს ნაკრების წევრმა გიორგი ქინქლაძემ ითავა. მან „ვესტ ბრომვიჩის" მეკარეს იოტისოდენა შანსიც არ დაუტოვა.

34-ე წუთზე სტუმართა გოლის ჯერი დადგა. პეშისოლიდოს თაურს მანჩესტერელთა გოლკიპერმა მარგეტსონმა ხელი აჰკრა, ბურთი ხარიხას მოხვდა და საჯარიმოში დაბრუნდა, პეშისოლიდომ მისი ხაზს მიღმა გადაგდება მოახერხა.

სამ წუთში „სიტიმ" კვლავ ორბურთიანი სხვაობა აღადგინა, ისევ პენალტით. ამჯერად პოლ გროვსმა პოლ დიკოვთან ბრძოლაში დაარღვია წესი. ყოველ შემთხვევაში ასე განსაჯა არბიტრმა, ქინქლაძემ კი შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა.

მეორე ტაიმზე ზევით მოგახსენეთ.

**გამოტოვებული მატჩები: ჩარლტონი — გრიმსბი 1:3, რედინგი — ბირმინგემი 0:0, შეფილდი — სვინდონი 2:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 20 | 11 | 7 | 2 | 41:26 | 40 |
| კრ. პალასი | 19 | 9 | 7 | 3 | 43:18 | 34 |
| შეფილდი | 18 | 9 | 6 | 3 | 34:18 | 33 |
| ბარნსლი | 18 | 9 | 6 | 3 | 33:24 | 33 |
| ნორვიჩი | 18 | 9 | 5 | 4 | 27:18 | 32 |
| ტრანმერი | 19 | 8 | 5 | 6 | 28:22 | 19 |
| ვულვზი | 19 | 8 | 5 | 6 | 26:21 | 29 |
| ოქსფორდი | 20 | 8 | 5 | 7 | 25:17 | 29 |
| ბირმინგემი | 19 | 7 | 6 | 6 | 22:21 | 27 |
| სვინდონი | 20 | 8 | 2 | 10 | 29:25 | 26 |
| იფსვიჩი | 20 | 6 | 7 | 7 | 27:29 | 25 |
| სტოკ სიტი | 17 | 6 | 6 | 5 | 24:29 | 24 |
| ჰადერსფილდი | 19 | 6 | 6 | 7 | 22:25 | 24 |
| პორტ ველი | 20 | 5 | 9 | 6 | 18:22 | 24 |
| პორტსმუთი | 20 | 6 | 5 | 9 | 24:28 | 23 |
| საუთენდი | 20 | 5 | 8 | 7 | 22:32 | 23 |
| ჩარლტონი | 18 | 7 | 2 | 9 | 19:28 | 23 |
| ვესტ ბრომვიჩი | 19 | 5 | 8 | 6 | 25:30 | 23 |
| ქუინზ პარკი | 20 | 5 | 7 | 8 | 22:28 | 22 |
| სიტი | 20 | 7 | 2 | 11 | 23:30 | 23 |
| რედინგი | 19 | 6 | 5 | 8 | 22:29 | 23 |
| ბრედფორდი | 20 | 5 | 5 | 10 | 18:33 | 20 |
| ოლდემი | 20 | 4 | 7 | 9 | 22:25 | 19 |
| გრიმსბი | 20 | 4 | 5 | 11 | 22:40 | 17 |

## ფეხბურთის რუკასთან



იტალიის თასის მეოთხედფინალური შეხვედრები ერთობ უხეში გახლდათ, „ნაპოლიმ" რომში, „ლაციოსთან" 9 კაცით დაასრულა მატჩი, რომაელებმა კი ერთით მეტი მოთამაშე შეინარჩუნეს. შეხვედრა 1:1 დამთავრდა და შინაურმა 1:0-მა შემდეგ წრეში ნაპოლელები გაიყვანა. 45-ე და 49-ე წუთებზე მსაჯმა მოედანი დაატოვებინა ფრანჩესკო ბალდინის და ალფრედო ალეტის, 83-ე წუთზე კი ლაციოელმა ევროპის ვიცე-ჩემპიონმა პაველ ნედვედმა ვერ დაიოკა ემოციები და ისაც გააძევეს. ანგარიში მასპინძელმა კაზირაგიმ, 21-ე წუთზე გახსნა. 5 წუთში კი სტუმართა ბრაზილიელმა ფორვარდმა კაიომ გაათანაბრა. ნახევარფინალში „ნაპოლი" „ინტერსა" და საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელ „იუვენტუსს" შორის გამარჯვებულს შეხვდება. ამათ პირველ, ტურინულ შეხვედრაში „ინტერმა" მასპინძლები 3:0 გაანადგურა. მეორე მეოთხედფინალურ მატჩში სერია A-ს ახლანდელმა ლიდერმა „ვიჩენცამ" სტუმრად გატანილი გოლის წყალობით თასისთვის ბრძოლას გამოაკლო სკუდეტოს მფლობელი „მილანი". სწორედ ვიჩენცაში დაიწყო პროფესიონალის კარიერა ევროპის 1993 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა რობერტო ბაჯომ, რომელიც აქ 1982-85 წლებში თამაშობდა, 1985 წლის შემდეგ კი მას ვიჩენცაში არ უთამაშია და ძალიან სურდა გამოსულიყო მოედანზე. ოსკარ ტაბარესმა იგი უყოყმანოდ დააყენა ძირითად შემადგენლობაში. რომეო მენტის სახელობის სტადიონზე გამართული ეს მატჩი 0:0 დასრულდა, რამაც ვიჩენცელებს ნახევარფინალისკენ გაუხსნა გზა. „ლაციოსა" და „ნაპოლის" შეხვედრის დარად, აქაც გააძევეს ფეხბურთელი: მასპინძელმა ფაბიო ბელოტიმ ორი ყვითელი ბარათი მიიღო.

ინგლისის ლიგის თასის გათამაშების რამდენიმე მატჩი საკმაოდ მოულოდნელი შედეგით დასრულდა. პირველი დივიზიონის ლიდერმა „ბოლტონ უონდერერსმა" „ტოტენჰემი" 6:1 გაანადგურა. სათასო ბატალიების მაყურებლობასლა დასჯერდება ინგლისური ფეხბურთის ბოლო წლების ლიდერი, შარშანდელი სეზონის დუბლის ავტორი „მანჩესტერ იუნაიტედი", რომელმაც „ლესტერთან" 0:2 წააგო. „ლივერპულმა" შინ 4:2 დაამარცხა „არსენალი". „ვესტ ჰემი" შინ 1:1-ს დასჯერდა მეორედივიზიონელ „სტოკპორტთან" და ახლა გადათამაშება მოუწევს. ფაბრიციო რავანელით გაძლიერებულმა „მიდლსბრომ" 3:1 მოუგო კევინ კიგანის „ნიუკასლს".

შვედეთის ნაკრების ჰირვეულმა წევრმა თომას ბროლინმა თანხმობა განაცხადა „ლიდს იუნაიტედში" დაბრუნებაზე. მას ახლა სამედიცინო შემოწმება ელის.

ჰოლანდიაში, ჰააგაში, ბრიუსელის „ანდერლეხტის" მწვრთნელმა მიშელ ვერშორენმა წამოჭრა საკითხი ბელგიისა და ჰოლანდიის ჩემპიონატების გაერთიანების თაობაზე. ეს გაერთიანება, მისი აზრით, ამ ორ ქვეყანაში ფეხბურთის დონის აამაღლებს და მეტ გულშემატკივარს მიიზიდავს სტადიონებზე. ვერშორენის პროექტი ითვალისწინებს თითოეული ქვეყნის 8-8 საუკეთესო კლუბის მონაწილეობას ჩემპიონატში. ბელგიისა და ჰოლანდიის ჩემპიონების გამოსავლენად ცხრილში მაღალ ადგილზე მყოფი თითოეული ქვეყნის კლუბები ოლიმპიური სისტემით გაითამაშებს ჩემპიონობას. მწვრთნელის აზრით, „აიაქს" — „ბრიუგეს" და „ფეიენოორდ" — „ანდერლეხტის" შეხვედრებს საკმაოდ ბევრი მაყურებელი დაესწრება და გუნდები ფინანსურადაც იხეირებენ. ამ იდეას უკვე გამოუჩნდნენ მხარდამჭერნი, თუმცა ზოგიერთი კლუბი, მაგალითად, როტერდამის „ფეიენოორდი" განზე დადგა.

ესპანეთის გაზეთ „ელ პაისის" ცნობით, „ბარსელონამ" გენუის „სამპდორიას" 2,4 მილიონი დოლარი გადაუხადა საიმისოდ, რათა არ შემდგარიყო ფრანგ კრისტიან კარემბუს ტრანსფერი მადრიდის „რეალში". კატალონიურმა კლუბმა ხელი მოაწერა შეთანხმება „სამპდორიასთან", რომლის თანახმადაც იტალიელებს ეკრძალებათ კარემბუს გაყიდვა კლუბთან მისი კონტრაქტის დამთავრებამდე ანუ 1998 წლამდე „ბარსას" თანხმობის გარეშე. „რეალის" წარმომადგენლის თქმით, იგი დარწმუნებული იყო, იმაში, რომ „ბარსელონა" ხელს შეუშლიდა ფრანგი ვარსკვლავის ტრანსფერს მათ კლუბში.

**საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონატის საემბლემო მამალს დიდი ხნის ბჭობის შემდეგ შეერჩა მრავალ სახელთაგან ერთი — ფუტიქსი.**

მექსიკის ფეხბურთის ფედერაციაში ითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ ნაკრების იუგოსლაველი მწვრთნელი ბორა მილუტინოვიჩი ერთი თვეც დარჩეს თანამდებობაზე.

ინგლისის „ასტონ ვილას" პრობლემები არც ისე აკლდა, ახლა კი ერთიც შეემატა და თანაც როგორი: კოკა-კოლას თასის მატჩში, „უიმბლდონთან" დამთავრებამდე 7 წუთით ადრე მძიმედ დაშავდა გარეთ საუთგეიტი. ექიმების თქმით, იგი დაახლოებით ოთხი კვირით გამოაკლდება კლუბს. შესაძლოა ისიც, რომ მან მონაწილეობა ვერ მიიღოს ნაკრების 12 თებერვლის მატჩში იტალიასთან. საუთგეიტის გარდა ბირმინგემელებს დაშავებული ჰყავთ მარკ ბოზნიჩი, საშა ჩურჩიჩი და ტომი კონსონი.

ინგლისელმა ფორვარდმა რობი ფაულერმა კონტრაქტი გააგრძელა „ლივერპულთან" და ჟურნალისტებს ესაც განუცხადა, არანაირი სურვილი არა მაქვს სხვა ქვეყანაში თამაშისა, რადგან პრემიერლიგა ევროპის ქვეყნების ჩემპიონატებში საუკეთესოაო. „თითქმის ყველა ვარსკვლავი აქ ჩამოდის სათამაშოდ, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ინგლისში სწორ გზას ადგანან და უახლოეს მომავალში საუკეთესონიც ვიქნებით. მინდვრები აქ საუცხოოა, კლუბებიც ძლიერნი არიან, ვიალის, ძოლას, რავანელის, გულიტის წინაალმდეგ თამაშს კი, აბა, რა სჯობს". რობი ფაულერი უკვე დაასახელეს იმ 50 მოთამაშეს შორის, რომლებიც „ოქროს ბურთის" მოპოვების ძირითად პრეტენდენტებად ითვლებიან.



ინგლისის ლიგის თასზე. „ლივერპული" — „არსენალი". ლივერპულის მეკარე ჯეიმსი ლონდონელ ჰართსონს აქცევს.

შვეიცარიაში ფიფას შტაბ-ბინაში გამოცხადდა, რომ ესტონეთ — შოტლანდიის გადატანილი მატჩი გაიმართება 11 თებერვალს მონაკოში. შეხვედრის მასპინძლად პირველად კვიპროსი დასახელდა, მაგრამ შოტლანდიელებმა იუარეს და ფიფამაც მატჩი მონაკოში დანიშნა. გეხსომებათ, იმ თამაშზე გამოუცხადებლობის გამო მასპინძლებს, ესტონელებს 0:3 წაგება ჩაეთვალათ, თუმც შემდეგ ფიფამ, იმ მოტივით, რომ ესტონელები არ იყვნენ ინფორმირებულნი მატჩის ადრე დაწყების თაობაზე, შეხვედრის შემდგომ გამართვა ბრძანა.

საფრანგეთში გაიმართა მე-20 ტურის ორი მატჩი. „მონპელიემ" 0:1 წააგო „მონაკოსთან", „ბორდომ" იმავე ანგარიშით მოუგო „მეცს".

# სკანდალი პეტერბურგში:

## ანატოლი ბიშოვეცი — სადირინის ნაცვლად.

სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან" გამარჯვებამ მოსკოვის „სპარტაკს" „ოქროს მატჩი" ათამაშა ვლადიკავკაზის „ალანიასა" და რუსეთის ჩემპიონიც გახდა. მეორე დღეს, 4 ნოემბერს გაიმართა საფეხბურთო კლუბ „ზენიტის" დირექტორთა საბჭოს სხდომა, რომელზეც მწვრთნელ პაველ სადირინს მადლობა გადაუხადეს უწინდელი საქმიანობისათვის და აუწყეს, რომ გადაწყვიტეს მასთან კონტრაქტის ვადა აღარ გაეგრძელებინათ.

ამის ერთ-ერთ მიზეზად კლუბის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ დაასახელა სადირინის უზომოდ დიდი მოთხოვნები. მისი თქმით, სადირინი ითხოვდა მწვრთნელებისა და მოთამაშეებისთვის ხელფასების გაზრდას, ზენიტელებს კი ისედაც დიდი გასამრჯელოები აქვთ. მაგალითად გუნდის ახალწვეული იღებდა ერთბაშად 20000 ამერიკულ დოლარს, ბინას, როგორც წესი, სამოთახიანს და მანქანას — „06"-ს ან „09"-ს. ფეხბურთელის ხელფასი თვეში 700 დოლარი იყო, პრემიალური მოგებისთვის — 2500 დოლარი. „ზენიტის" ლიდერები წელიწადში საშუალოდ 80000 დოლარს იღებდნენ. მუტკოს აზრით, სადირინი ძალზე გაიტაცა ფეხბურთელების ყიდვამ, შეეძლო კი თანხები ყაირათიანად ეხარჯა და ადგილობრივი ახალგაზრდობა აღეზარდა.

მის მისამართით წაყენებული ბრალდებების მოსმენის შემდეგ სადირინი საავადმყოფოში აღმოჩნდა გულის შეტევით, იქიდან გამოწერილმა კი განაცხადა: „ეს ყველაფერი ჩემთვის ძალზე მოულოდნელია. კონტრაქტის პირობები მეც და კლუბმაც ვადამდე შევასრულეთ, „ზენიტის" დაბრუნებას პირველიდან უმაღლეს ლიგაში ხომ ორ წელიწადში ვეგმავდით. არავითარი ფინანსური მოთხოვნები დირექტორთა საბჭოსთვის მე არ წამიყენებია".

სწორედ სადირინის სახელთანაა დაკავშირებული „ზენიტის" ერთადერთხელ გაჩემპიონება 1984 წელს, ამიტომ მისმა გადაყენებამ ქალაქში დიდი აღშფოთება გამოიწვია. „ზენიტის" ქომაგებმა დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება საყვარელი მწვრთნელის ინტერესების დასაცავად. სადირინს მხარი დაუჭირეს რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელმა პეტერბურგში სერგეი ციპლიაევმა, ბორის ელცინის ნდობით აღჭურვილ პირთა საბჭომ „მოქალაქეობრივი თანხმობა", რომელმაც თავის მიმართვაში გულისტკივილით აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, ჩვენს დროში პიროვნების პროფესიული დონე და წესიერება აღარ განსაზღვრავს მის ბედს.

„ზენიტის" შვიდმა ფეხბურთელმა (კულიკი, ხომუხა, ბოკოვი, ზუბკო, დანილოვი, კონდრაშოვი და ბობროვი) განაცხადა, რომ თუ გადაწყვეტილება არ გადაისინჯება, ისინი გუნდიდან წავლენ.

სადირინის მთავარი დამცველი კი აღმოჩნდა ქალაქის გუბერნატორი ვლადიმერ იაკოვლევი. იგი თითქმის სამი კვირის მანძილზე აწარმოებდა მოლაპარაკებას „ზენიტის" აქციონერებთან, რათა მათ სადირინი კლუბში დაებრუნებინათ, მაგრამ ვერაფრით დაიყოლია ისინი: „ზენიტის" პრეზიდენტი, პეტერბურგის ქალაქის მერის ყოფილი მოადგილე ვიტალი მუტკო, „ლენსტრანსგაზის" გენერალური დირექტორი სერგეი სერდიუკოვი, სააქციო საზოგადოება „პეტერბურგის სატელეფონო ქსელის" გენერალური დირექტორი ვალერი იაშინი და სააქციო საზოგადოება „ჟილსოცსტროის" გენერალური დირექტორი ნიკოლაი ილლევი.

„ჩვენ შეგვეძლო დავყაბულებოდით სადირინს: ისევ გვეყიდა მოთამაშეები მთელს ქვეყანაში, დაგვერქმია ამ ნაკრებისთვის „ზენიტი" და მოგვეგო და მოგვეგო... მაგრამ, როგორც ყველა პეტერბურგელს, შეგვრცხვებოდა ასეთი გამარჯვებებისა". ამ სიტყვებით მიმართეს „ზენიტის" აქციონერებმა ქალაქის მოსახლეობას და თავიანთი მორიგი შეკრებისას გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშნეს კიევის „დინამოს" ცნობილი ფორვარდი, სეულის ოლიმპიადის ჩემპიონების მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი.

ამ გადაწყვეტილებას პეტერბურგის გუბერნატორი, ალბათ, ვერ შეეგუება. ვლადიმერ იაკოვლევმა განაცხადა: „მწვრთნელის კულუარული შეცვლა საზიანოა გუნდისთვისაც და იმ ქალაქისთვისაც, რომელიც ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე აცხადებს პრეტენზიას. „ზენიტის" ბედი სანკტ-პეტერბურგის სავიზიტო ბარათია და არა აქციონერების პირადი საქმე. ეს პეტერბურგის პრესტიჟის საქმეა". ქალაქის თავმა მუქარით ესაც თქვა, რომ გამოისყიდის კლუბის აქციების 100 პროცენტს.

მოკლედ, სადირინისთვის ბრძოლა გრძელდება. აი, რამდენიმე სპეციალისტის აზრი ამ კონფლიქტის თაობაზე:

ვიაჩესლავ კოლოსკოვი: „წავა სადირინი და ყველაფერი დაინგრევა. რა მოხდა მუტკოსა და სადირინს შორის, არ ვიცი. მუტკოს ადგილზე სხვა პრეზიდენტი რომ ყოფილიყო, გაუხარდებოდა, რომ ჰყავს მწვრთნელი, რომელმაც შექმნა გუნდი და იმედით უყურებს მომავალს. „ზენიტი" ხომ, თუ ორი-სამი პოზიცია გაამაგრა, ჩემპიონატში მაღალი ადგილებისთვის იბრძოლებს".

ბორის იგნატიევი: „სადირინის გადაყენება სამარცხვინოა მთელი პეტერბურგული ფეხბურთისთვის. ამის გამკეთებელ ხალხს ფეხბურთში არა გაეგება რა. წავა სადირინი და ჩვენი ფეხბურთი კვლავ დაჰკარგავს თვითმყობად გუნდს".

გიორგი იარცევი: „მე ერთხელ მივულოცე პეტერბურგელებს — ქალაქში გყავთ გუნდი, რომლის თამაშებზე სტადიონი გევსებათ-მეთქი. მაგრამ თუ მათ სურთ ყველაფერი ისევ წყალში გადაყარონ, გადაყარონ..."

იური სიომინი: „ეს მხოლოდ ლენინგრადში შეიძლებოდა მომხდარიყო. პეტრეს მიერ ჭაობზე აშენებული ქალაქი ჭაობადვე დარჩა ფეხბურთში".

გენადი ორლოვი: „სადირინი ჩვენ ერთი გვყავს, მუტკოსნაირები კი ქალაქში ბევრია".

**ბესიკ ფიფია**
**სანკტ-პეტერბურგიდან**
**სპეციალურად „სარბიელისთვის"**

# რა მოხდა ალბანეთში?

საქმე ასე იყო, ალბანეთის სპორტის სამინისტრომ, კერძოდ კი მინისტრმა ქალმა მარიეტა პრონიარიმ თანამდებობიდან დაითხოვა ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის გენერალური მდივანი ედვარდ დერვიში. დაშალეს ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტიც. მიზეზი: დერვიშმა უამრავჯერ გადადო აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები, რითაც ალბანეთის კანონი დაარღვია.

ფიფა, მოგეხსენებათ თავის სტრუქტურაში შემავალი ორგანიზაციების დამცველია. მაგალითი იმისა, რომ მან ეროვნული ფედერაციები სახელმწიფო ჩარევისგან დაიცვა უამრავია. ალბანეთის შემთხვევა ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინოდ შეიძლება მივიჩნიოთ. მსოფლიო ფეხბურთის განმგებელმა ორგანიზაციამ, ალბანეთის სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებას ხელად საპასუხო ზომები დაუპირისპირა — თუ დერვიშს და ფედერაციის აღმასკომს სტატუსს არ აღუდგენენ, ალბანეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლიდან მოიკვეთება. დაითქვა ბოლო ვადაც — 7 დეკემბერი.

საქმე ისაა, რომ 14 დეკემბერს ალბანეთის ეროვნულ გუნდს ბელფასტის „უინძორ პარკზე" ჩრდილო ირლანდიასთან აქვს სათამაშო. მატჩის შესაძლო ჩაშლა ბრიტანელებისთვის არასასურველია. მათ ყველა სარეკლამო ხელშეკრულება უკვე გაფორმებული აქვთ, დაწყებულია ბილეთების გაყიდვა. გამოცემულია პროგრამები და თანაც, იმ შემთხვევაში თუ თამაში ჩაიშლება, შემდეგ კი მიზეზთა გამო თავიდან დაინიშნება, თარიღის შერჩევა ურთულესი საქმე იქნება. ერთადერთი 12 თებერვალია ის დღე, როდესაც კლუბებმა ფეხბურთელები შეიძლება გაანთავისუფლონ და ეს დღეც უკვე შევსებულია. ჩრდილო ირლანდიელებმა დიდი მეცადინეობის შემდეგად გამოძებნეს სპარინგ-პარტნიორი — ბელგია. ამ, მზადების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი თამაშის გაუქმება კი არაფრისდიდებით სურთ.

ალბანეთის სპორტის მინისტრმა, საჯაროდ, დიდი შეშფოთება გამოთქვა ფიფას გადაწყვეტილების გამო და განაცხადა, რომ რაიმე გზის გამოსანახავად ყველა ღონეს იხმარს.

# ვიკამათოთ, ოღონდ ნუ ვიჩხუბებთ

„სპორტის მუშაკებმა სამარცხვინო გახადეს ყველაფერი. ფული რომ აიღონ, ყველაფერს კადრულობენ".

ამგვარი რამ რომელიმე ჟურნალისტმა, ვთქვათ, პარლამენტის პრესის ქვეკომიტეტის სხდომაზე რომ განაცხადოს, სპორტის მუშაკები რასაკვირველია, პასუხს მოითხოვენ: ერთი, თუ ძმა ხარ, დაგვიკონკრეტე რომელ „ფულზე და კადრებზეა" საუბარი?

მოითხოვენ და ცამდე მართლებიც იქნებიან.

როგორ უნდა მოიქცნენ ჟურნალისტები, პირიქით თუ მოხდა და, ვთქვათ, რომელიმე სპორტის მუშაკი ჟურნალისტებს იმავე სიტყვებით მოიხსენიებს?

რეაქცია, რასაკვირველია, იგივე იქნება: „კონკრეტული ფაქტების დაუსახელებლად, ამგვარი განცხადება მიუღებელია. მოვითხოვთ განმარტებას".

ჩვენც ავდექით და ვიკითხეთ, ბატონმა კახი ასათიანმა, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, მეტწილ ჟურნალისტთათვის პატივცემულმა და დამსახურებულმა ადამიანმა, რატომ გაგვიმეტა და პარლამენტში, როცა ოლიმპიადის შედეგებს იხილავდნენ, მწარე და ეკლიანი სიტყვებით რად მოგვიხსენია?

საჯარო შეკითხვას შეხვედრა მოჰყვა, შეხვედრას განმარტება და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. სწორედ მაშინ შევთანხმდით ინტერვიუზე და იმაზეც, რომ არც ერთი კითხვა პასუხგაუცემელი არ დარჩებოდა.

**— ბატონო კახი, მაინც რა მოხდა, რას გულისხმობდით, როცა პარლამენტში გამოსვლისას ჟურნალისტები ასე მწარედ მოიხსენიეთ?**

— უწინარესად იმას ვიტყვი, რომ ჟურნალისტთა პროფესიას პატივს ვცემ, ვაფასებ მათ ღვაწლსა და გარჯას, ვისაც კალმითა და სიტყვით ქართული სპორტისთვის დიდი საქმე უკეთებია. სხვათა შორის, პატივს ვცემ იმათაც, ვინც ჩვენ სამართლიანად გვაკრიტიკებს და სპორტის დღევანდელ მდგომარეობაზე თუ მომავალზე თავისი, ჩვენგან განსხვავებული შეხედულება აქვს. კრიტიკა და კამათი საჭირო და აუცილებელი რამ არის, მაგრამ ზღვარი უნდა არსებობდეს. ის, რაც ზოგიერთ გაზეთებში ქვეყნდება, კრიტიკა არ არის. ეს უკვე შეურაცხყოფაა, პიროვნული ღირსების შელახვა და ცილისწამებაა. მწარე სიტყვებით სწორედ ჟურნალისტთა ის ნაწილი მოვიხსენიე, ვინც ამგვარ წერილებს აქვეყნებს. ადამიანს გული არ უნდა ატკინო, მის თავმოყვარეობას არ უნდა შეეხო. ზოგიერთი გაზეთის რამდენიმე პუბლიკაცია, ჩემი აზრით, ამ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს.

**— და თქვენ ფიქრობთ, რომ ეს შეგნებულად კეთდება?**

— ამას არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს. საქმე ფუჭდება, სახალხოდ შეგინებულმა და ნერვებდაწყვეტილმა ადამიანმა, შეიძლება, საერთოდ ჩაიქნიოს ხელი. მიზეზთა მიზეზი, ვფიქრობ, დილეტანტიზმია საქმეში, ამ შემთხვევაში — სპორტში ჩაუხედაობა. ჩემთვის გაუგებარია, როცა ვთქვათ, ეკონომიკის, განათლების, იურისპრუდენციის, სპორტის პრობლემებს ერთიდაიგივე ავტორი აშუქებს.

**— მოდით, ჟურნალისტიკიდან სპორტის პრობლემებზე გადავინაცვლოთ. თუნდაც წლევანდელი შედეგებიდან ჩანს, რომ საქმე კარგად ვერ გვაქვს...**

— სპორტული სეზონის შედეგები, ცხადია, ჩვენც არ გვაკმაყოფილებს, მით უმეტეს, ატლანტის ოლიმპიური თამაშების ფონზე. აქამდეც არაერთხელ მითქვამს, რომ ატლანტაში ჩვენი გამოსვლა აშკარად წარუმატებელი იყო, მაგრამ ფაქტის კონსტატაციით საქმეს არ ეშველება. შედეგს — ცუდსაც და კარგსაც — თავისი მიზეზები აქვს. იმან, რაც ოთხმოცდაათიანი წლების საქართველოში ხდებოდა, რასაკვირველია, სპორტზეც იმოქმედა და შედეგებზეც აისახა. მე არა გამოვრიცხავ, რომ იყო ცალკეული ტაქტიკურ-ორგანიზაციული შეცდომები, სუბიექტური ფაქტორები და ამანაც შეგვაფერხა, თუმცა გადამწყვეტი მაინც ობიექტური მიზეზები აღმოჩნდა. დღეს ყველანი ვხედავთ, რომ ქვეყანაში საერთო ვითარება აშკარად უკეთესობისკენ იცვლება და რადგან ასეა, სპორტის საქმეც გამოსწორდება. მე ამის დიდი იმედი მაქვს!

**— მაინც რას ემყარება თქვენი ოპტიმიზმი — ზოგად მოვლენებს თუ კონკრეტულ ფაქტებს?**

— ზოგადსაც და კონკრეტულსაც. მეორე პირველისგან გამომდინარეობს. საერთო ვითარების, მათ შორის ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციამ ქვეყანას საშუალება მისცა სპორტისკენ მოეხედა და მათი ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ეზრუნა. წინასწარი შეთანხმების თანახმად, როგორც ცნობილია, სპორტისთვის საგაისო ბიუჯეტში ოთხი მილიონი ლარია გათვალისწინებული.

**— „გათვალისწინებული" და არა „დამტკიცებული".**

— მჯერა, რომ შეთანხმება ძალაში დარჩება და პარლამენტიც გამოიჩენს კეთილ ნებას. ეგ კი არა, სასურველია, თუ სპორტის დაფინანსების დამატებითი წყაროები გამოინახება და, შესაბამისად, ბიუჯეტიც გაიზრდება. წინა წლებთან შედარებით, ჩვენი ბიუჯეტი შთამბეჭდავად გამოიყურება, თუმცა მინდა იცოდეთ, რომ ოთხი მილიონი ლარი სპორტს ვერ გაწვდება. ეს არის მინიმუმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, აუცილებელს და გადაუდებელს მივხედოთ და ადგილიდან დავიძრათ. სხვაგვარად ქართულ სპორტს ვერ გადავარჩენთ. სახელმწიფომ, თუ სპორტში რაიმე პრეტენზია აქვს, ამ საქმისთვის ხარჯიც უნდა გასწიოს.

**— „იქნება ფული, იქნება შედეგი"... თქვენი ნათქვამი სწორად გავიგე?**

— ასეა. უფულოდ არაფერი გამოვა.

**— ხანდახან ასეც ხდება — არის ფული, მაგრამ არ არის შედეგი.**

— ეს ვარიანტი უნდა გამოირიცხოს. დეპარტამენტსა (სახელმწიფოს) და ფედერაციებს (საზოგადოებრივი ორგანიზაცია) შორის ურთიერთობას, მოგეხსენებათ, ხელშეკრულება არეგულირებს. ამ დოკუმენტის თანახმად, ფედერაცია ვალდებულია აღზარდოს მაღალი კლასის სპორტსმენი, ანუ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფული დანიშნულებისამებრ და ეფექტურად გამოიყენოს. თუ ასე არ მოხდა, ავტომატურად უნდა დაისვას ფედერაციის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხი. სხვათა შორის, სპორტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე ვამზადებთ ხელშეკრულების ახალ ვარიანტს, სადაც სპორტულ შედეგებთან მიმართებაში პასუხისმგებლობის მომენტი უფრო მკაფიოდ იქნება გამოკვეთილი. საქმეს თავი ვერ გაართვი? გადადექი! რაკი ამას ნებისყოფლობით არავინ აკეთებს, უნდა ავამოქმედოთ კანონი და კანონქვემდებარე აქტები. სხვაგვარად პასუხისმგებლობის ხარისხი ვერ ამაღლდება. ეს ეხება ყველა რანგის ხელმძღვანელს და არა მარტო მათ.

**— თქვენ უკვე ახსენეთ კანონი სპორტის შესახებ. სპორტის დეპარტამენტი, როგორც ჩემთვის ცნობილია, აქტიურად მონაწილეობდა კანონპროექტის მომზადებაში. როგორ აფასებთ კანონის საბოლოო ვარიანტს?**

— რაკი იდეალური კანონი ბუნებაში არ არსებს, კანონი სპორტის შესახებ, ალბათ, დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. პარლამენტმა გაითვალისწინა ჩვენს მიერ შეთავაზებული ძირითადი პრინციპები და ამით დააკანონა სპორტის მართვაში უკვე არსებული რეალობანი. უწინარესად, ვგულისხმობ მართვის სხვადასხვა რგოლებს შორის ფუნქციების, უფლება-მოვალეობის და პასუხისმგებლობის განაწილებას. ამიერიდან, ეს კანონი ჩვენი უმთავრესი სახელმძღვანელო დოკუმენტია და მის ფარგლებში ვმოქმედებთ. სხვათა შორის, მზადდება სპორტის სახელმწიფო პროგრამა, ამ დღეებში სახელმწიფო მინისტრთან გაიმართება პირველი სპეციალური თათბირი, შეიქმნება საგნობრივი სახელმწიფო კომისიები, რომლებშიც იმუშავებენ სპორტის გამოცდილი მუშაკები, პროფესიონალები, მეცნიერებიც და პრაქტიკოსებიც. მაგალითად, სწორედ ამგვარი კომისიის დასტურით დაინიშნება ფედერაციათა მიერ წამოყენებული კანდიდატები ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ეს პროცესი უკვე დაიწყო, სპორტში წამყვან პოზიციებზე ის ხალხი ბრუნდება, ვინც საქმეც იცის და პასუხისმგებლობასაც არ გაურბის.

**— ისევ კანონს მივუბრუნდეთ. იქ არის, ჩემი აზრით, რამდენიმე საკამათო მუხლი. მაგალითად, მეხუთე მუხლი, რომლის ერთ-ერთ პუნქტში ამგვარი რამ წერია: საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის კომპეტენციაში შედის „ეროვნული სპორტული ფედერაციების მიერ სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შეუსრულებლობისა და კანონმდებლობის უხეში დარღვევისას მარეგისტრირებულ ორგანოსთან ერთად ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ფუნქციების შეჩერება საგანგებო ყრილობის მოწვევამდე". აქ ჩამოყალიბებული დებულება იმდენად ზოგადია, რომ ზემდგომ ორგანოს, ამ შემთხვევაში თქვენს დეპარტამენტს სუბიექტური მიდგომის ფართო ასპარეზს უტოვებს, მეორეს მხრივ კი სწორედ აბსტრაქტულობის გამო, საეჭვოა მისი ამოქმედება მოხერხდეს...**

— მე სხვაგვარად ვფიქრობ. ჯერ ერთი, უკეთესი იქნებოდა უშუალოდ სპორტის დეპარტამენტს დაკანონებოდა ფედერაციის ხელმძღვანელთა უფლებამოსილების შეჩერების უფლება. თუ ფედერაცია საქმეს ღუპავს და თანაც წესსა და კანონს არღვევს, ამ უბედურებას წერტილი ხომ უნდა დაესვას. მეორეც, ზემოთ უკვე ვთქვი, რომ დეპარტამენტსა და ფედერაციას შორის ურთიერთობას არეგულირებს ხელშეკრულება, სადაც ვრცლად და დაწვრილებით აისახება მხარეთა მოვალეობა და პასუხისმგებლობა.

**— კონკრეტული ფაქტის მიხედვით განვსაჯოთ. ამას წინათ, საქართველოს პარლამენტის სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ მანუჩარ მაჩაიძემ თქვენ, როგროც დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მოგმართათ წინადადებით აამოქმედოთ კანონის ზემოხსენებული მუხლი ფეხბურთის ფედერაციის მიმართ. თქვენი რეაქცია?**

— მანუჩარ მაჩაიძეს, როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელს, ცხადია აქვს საკითხის ასე დასმის იურიდიული უფლება და მან სწორედ ამ უფლებით ისარგებლა. ახლა გასარკვევია საქმის ფაქტიური მხარე. ჩემს პირველ მოადგილეს, ბატონ ჯანო ბაგრატიონს დავავალა შეხვდეს ფედერაციის ხელმძღვანელებს, ამის თაობაზე იმსჯელონ ფედერაციის აღმასკომზე და გვაცნობონ თავიანთი მოსაზრებები. ამის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, მომდევნო ნაბიჯს გადავდგამთ და საკითხს დეპარტამენტის კოლეგიაზე განვიხილავთ. ვიმეორებ, თუ ამის აუცილებლობას დავინახავთ.

**— კამათი ფეხბურთის ფედერაციის თაობაზე გუშინ და გუშინწინ არ დაწყებულა, თანაც ეგ კამათი ხანდახან, ჩხუბისა და გაწევ-გამოწევაში გადაიზრდება ხოლმე.**

— კამათის მომხრე ვარ, აი, ჩხუბზე კი რა მოგახსენოთ. ფეხბურთისადმი ჩემი დამოკიდებულება არაერთხელ გამომითქვამს — სხვადასხვა თავყრილობებზე თუ პრესა-ტელევიზიით. ბევრი რამ არ მომწონს ჩვენს საფეხბურთო მეურნეობაში, ყველანი ვხედავთ, რომ შედეგები ვერა გვაქვს სახარბიელო, ზოგჯერ ალბათ, მეტისმეტსაც ვითხოვთ ფეხბურთელებისგან. დეპარტამენტს, პირადად მე მაქვს კონკრეტული მოსაზრებები სიტუაციის გამოსწორებასთან დაკავშირებით და ვაპირებ გავაცნო ფედერაციის ხელმძღვანელებს. დანარჩენი მათი საქმეა. ერთი რამ საკამათო არ უნდა იყოს: ჩვენ ერთად გაცილებით მეტის გაკეთება შეგვიძლია, ვინემ, ცალცალკე.

**— ფეხბურთი სპორტის ის ერთადერთი სახეობაა, რომელიც თავს თავს თვითონ ინახავს, დანარჩენები კი, საწუხაროდ, სახელმწიფო ბიუჯეტის იმედზე არიან. რა პრინციპით განაწილდება სახსრები?**

— უპირატესობას სტრატეგიულ და ტრადიციულ სახეობებს მივანიჭებთ და ვეცდებით მათი საჭიროებანი მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ. ეს პრინციპი ამ რამდენიმე წლის წინ ავარჩიეთ და შეცვლას არ ვაპირებთ. ფული უწინარესად იქ უნდა დააბანდო, საიდანაც მოგებას, შედეგს ელოდები. ცხადია, სხვა სახეობებსაც არ დავტოვებთ უყურადღებოდ, მაგრამ, ვიმეორებ, წამყვან სახეობებს პრივილეგიები ექნებათ. ამას გარდა, ნიჭიერ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს დაენიშნებათ საკმაოდ სოლიდური ხელფასი, საქართველოს პრეზიდენტი კეთილგანწყობით მოეკიდა ამ საქმეს და სპორტსმენთა წასახალისებლად რეალურ დახმარებას შეგვპირდა.



კიდევ ერთი სიახლე: დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებული სპორტსმენი და მისი მწვრთნელი, როგორც წესი, მიიღებს პრემიას, თანხის ოდენობას კი სახელმწიფო კომისია დაადგენს. ჩვენ აქამდეც ვაჯილდოებდით სპორტსმენს თუ მწვთნელს, მაგრამ ამას ეპიზოდურად ვახერხებდით... ერთსაც გეტყვით: ბიუჯეტის სოლიდური ნაწილი მოხმარდება სპორტული ბაზების რემონტს, სპორტული ფირმა-ინვენტარის შეძენას. კარგა ხანია, ამ მიმართებით არაფერი გაკეთებულა: რაც გვქონდა თითქმის ყველაფერი მწყობრიდან გამოვიდა — მოირყა, დაინგრა, გაცვდა, დაიხა...

**— სპორტის დეპარტამენტის ინიციატივით და წინადადებით, ბოლო ორი-სამი თვეა რეგულარულად იმართება ეროვნულ სპორტულ ფედერაციის რიგგარეშე ყრილობები...**

— უკვე მოეწყო ყრილობა ჩვიდმეტ ოლიმპიურ სახეობაში. ზოგან ახალი ხალხი მოვიდა, ზოგან ძველები დარჩნენ. ჩემი აზრით, სწორი გადაწყვეტილება მიეღეთ და ფედერაციებიც გაგებით მოეკიდნენ. ჩვენი მხრიდან არანაირი ჩარევა ან ზეწოლა არ ყოფილა. არჩევნებიც წესების სრული დაცვით მოეწყო.

**— მათ შორის ძიდოობის ფედერაციის ყრილობაზეც?**

— რა თქმა უნდა. ყოველ შემთხვევაშიც მე იქ ვიყავი და უკანონო არფერი შემინიშნავს. პრეზიდენტობის ორი კანდიდატი იყო — გობეჯიშვილმა გაიმარჯვა, ბატონი ზურაბ ქორიძე კი საპატიო პრეზიდენტად აირჩიეს.

**— ამ დღეებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოგველის. ვგულისხმობ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესიას, სადაც ასევე ახალ ხელმძღვანელობას აირჩევენ. თქვენ როგორ აფასებთ სეოკ-ის მოღვაწეობას?**

— დადებითად. ჩვენმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, ქალბატონ ნონას მეთაურობით, ძირითადად აღასრულა თავისი მისია, არადა ეს ჩვენთვის ახალი და უცხო საქმე იყო. რაც შეეხება წარუმატებელ ოლიმპიურ დებიუტს, ეს უწინარესად, სწორედ ჩვენს გამოუცდელობას უნდა მიეწეროს. ატლანტაში მწარე, მაგრამ აუცილებელი გაკვეთილები მივიღეთ, რაც, მჯერა, უკვალოდ არ ჩაივლის.

**— ატლანტური მარცხი კი ვახსენეთ, მაგრამ არაფერი გვითქვამს სხვა შეჯიბრებებზე, სადაც მეტნაკლებად კარგი შედეგები გვქონდა.**

— უწინარესად, ჩვენი მოჭადრაკე ქალების ბრწყინვალე გამარჯვებაა გამოსაყოფი, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებიდან არაერთი მედლით დაბრუნდნენ ძიუდოისტები და სამბისტები, მნიშვნელოვანი შედეგები მოიპოვეს სპორტის კიდევ რამდენიმე სახეობის წარმომადგენლებმა ციფრების ენით თუ ვილაპარაკებთ, წლებულს მსოფლიოს და ევროპის მასშტაბის რვა უმთავრეს შეჯიბრებაში ჩვენმა სპორტსმენებმა 95 მედალი მოიპოვესმათ შორსი 36 ოქრო, 24 ვერცხლი და 35 ბრინჯაო. შთამბეჭდავი ციფრებია, თუმცა ჩვენ გაცილებით მეტის პოტენცია გაგვაჩნია. უნდა ვეცადოთ, რომ ახალ ოლიმპიურ ციკლში მაქსიმალურად გამოვავლინოთ ჩვენი შესაძლებლობანი. პირადად მე ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

ელგუჯა ბერიშვილი

---

ხელბურთი

## მახვში აირჩიეს

„საქართველოს ერთი პრეზიდენტი უკვე ჰყავს, იქნებ ჩემს თანამდებობას სხვა სახელი მოვუფიქროთ — თქვა ხელბურთის ფედერაციის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა თენგიზ გაზდელიანმა — სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების მინისტრმა. მაშინ მახვში (სვანურად ოჯახის უფროსს ნიშნავს) დავარქვათო — იხუმრა ვიღაცამ.

მანამდე ყველაფერი ტრადიციულად წარიმართა — ვიცე-პრეზიდენტმა მერაბ მეტრეველმა განვლილი მუშაობის შესახებ ისაუბრა, გამომსვლელები კი წუხილსა და გულისტკივილს ვერ ფარავდნენ ქვეყანაში შექმნილ რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო. ამის მიზეზი, ისევე როგორც წინა ყრილობებზე, დანგრეული ბაზები და გაპარტახებული დარბაზები იყო. საოცრად კოლორიტული იყო ჯემალ ცერცვაძის გამოსვლა. „ჩვენი ხელბურთი დღეს იმ დონეზეა, სსრკ-ს დროს სომხეთის ხელბურთი რომ იყო — თქვა ცერცვაძემ — არადა, ჩვენ შეგვიძლია ევროპულ დონეზე ვითამაშოთ და ტოლი არავის დავუდოთ, როგორც ეს ადრე იყო. იგივე შედეგებს რომ მივაღწიოთ, ხელბურთი სახელმწიფო დონეზე უნდა ავიყვანოთ და ნაკრებს საკუთარი ბაზა მივცეთ, თორემ კუს ნაბიჯებით მივიწევთ წინ და ერთი წლის გასავლელს, უკეთეს შემთხვევაში, სამს მოვანდომებთ".

ახალი პრეზიდენტი დაეთანხმა გამომსვლელს და აღნიშნა: „ქართველებს ევროპული დონის ხელბურთის თამაში ნაღდად შეუძლიათ, აი, ამერიკული კალათბურთის დონეს კი ვერ მივაღწევთ, რადგან ასეთი კალათბურთი რომ ითამაშო, ან ზანგი უნდა იყო, ანაც სვანი".

საპატიო ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს ყოფილი პრეზიდენტი ნიკა ცხაკაია, ვინაც 15 წელი თავკაცობდა ფედერაციას. ახალი ვიცე-პრეზიდენტების რიცხვი კი იმდენად დიდი იყო, რომ თავიდან სათვალავი ამერია და ვიფიქრე, ხელბურთელები თავისი დარბაზის (სათათბირო ორგანოა) წევრებს ხომ არ ასახელებენ-მეთქი, მაგრამ პრეზიდენტმა განმარტა, ესენი ჯერ მხოლოდ ვიცე-პრეზიდენტები არიანო. სულ ამ თანამდებობაზე რვა კაცი დანიშნეს: მერაბ მეტრეველი, თეიმურაზ ბასილია, გიგი წერეთელი, ირაკლი მეძმარიაშვილი, ჯანო ბაგრატიონი, ჯემალ ცერცვაძე, ნუგზარ ფოფხაძე და მამუკა სხიერელი. საპატიო ვიცე-პრეზიდენტად გიორგი შარაშიძე დაასახელეს. გენერალური მდივანი უცვლელი დარჩა — ვლადიმერ მურადოვი.

დარბაზის წევრებს კი ნამდვილად ვერ ჩამოვთვლი და არც არის საჭირო, რადგან ამ ორგანოში ედუარდ შევარდნაძის გარდა ალბათ ყველა გავლენიანი ჩინოსანი თუ ბიზნესმენი შეიყვანეს.

ერეკლე კიკილაშვილი

---

ნიჩბოსნობა

## ნიჩბოსნებს გენერალიც ჰყავთ

გუშინ თბილისის ნიჩბოსნობის ბაზაზე ჩატარდა ნიჩბოსნობისა და კანოეს ეროვნული ფედერაციის ყრილობა.

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გივი ნიკურაძემ განვლილი საქმიანობის შესახებ ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ფედერაციას ახლახან ჩაუდგა სათავეში, მაგრამ სასიკეთო ძვრები უკვე შეიმჩნევა. ისიც თქვა, რომ ნიჩბოსნობას ენთუზიასტები უბრუნდებიან და მაღალ შედეგებზე ფიქრი უტოპია აღარ არის. მან სულიკო ციცქიშვილის მაგალითი დაასახელა — ათობით ნავი გადაარჩინა განადგურებასო — მათ, თურმე, საკუთარ სარდაფში ინახავდა და ფედერაციას გადასცა.

სიხარულით იყო აღსავსე ფოთელი მწვრთნელის გამოსვლა. თურმე იქაურ ნიჩბოსნებს, როგორც იქნა, „მართვეს" ბაზიდან გაუძევებიათ არყის გამომხდელები, რომლებსაც სპორტულ ნაგებობაში არყის სახდელი მინი-ქარხანა მოეწყოთ.

ფოთის პორტის თავკაცმა და „კოლხეთის" პრეზიდენტმა ვალერი გეგიძემ დამსწრე საზოგადოებას აღუთქვა, ნიჩბოსნობას უეჭველად აღმოვუჩენ დახმარებასო, და აღნიშნა — ეს ჩემი საყვარელი სპორტია და ცხოვრებაში რასაც მივაღწიე, ნიჩბოსნობის წყალობააო.

ყრილობამ ფედერაციის მუშაობა დადებითად შეაფასა და ხელმძღვანელობაც იგივე დატოვა: პრეზიდენტად — ბეჟან ხურციძე, გენერალურ მდივნად — გენადი პატარაია. ძველ ვიცე-პრეზიდენტს ორი ახალი — ვალერი გეგიძე და გენერალი ჯონი ფირცხალაიშვილი დაემატნენ.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. XVI ტური

30 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მიონხენგლადბახი — დუისბურგი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| შტუტგარტი — ბაიერნი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| ჰანზა — არმინია | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| ფრაიბურგი — შალკე | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| მიუნხენი — კარლსრუე | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ლევერკუზენი — კიოლნი | 1,35 | 3,0 | 5,6 |

1 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დიუსელდორფი — ვერდერი | 1,7 | 2,8 | 3,3 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XVI ტური

30 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლაიპციგი — კიკერსი | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| ჰერტა — კარლ ცაისი | 1,2 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |

1 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლიუბეკი — ცვიკაუ | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ოლდენბურგი — მანჰაიმი | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| კაიზერსლაუტერნი — აინტრახტი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| გიუტერსლო — უნტერჰახინგი | 1,9 | 2,6 | 3,0 |
| ფორტუნა — მაინცი | 1,5 | 2,8 | 4,4 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XV ტური

30 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — მიდლსბრო | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ბლექბერნი — საუთჰემპტონი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| დერბი — ქოვენთრი | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| ევერტონი — სანდერლენდი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — ლესტერი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ნიუკასლი — არსენალი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| შეფილდი — ვესტ ჰემი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| უიმბლდონი — ნოტინგემი | 1,2 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |

1 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლიდსი — ჩელსი | 3,4 | 3,0 | 1,6 |

2 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტოტენჰემი — ლივერპული | 2,4 | 2,4 | 2,3 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXI ტური

30 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლტონი — ბარნსლი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ბრედფორდი — ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| გრიმსბი — კრისტალ პალასი | 4,0 | 3,0 | 1,5 |
| ვულვერჰემპტონი — სიტი | 1,35 | 3,0 | 5.6 |
| ნორვიჩი — ბირმინგემი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ოქსფორდი — ჩარლტონი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| პორტ ვეილი — ჰადერსფილდი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| პორტსმუთი — სტოკი | 2,1 | 2,6 | 2,6 |
| ქუინზ პარკი — შეფილდი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| საუთენდი — ოლდემი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| სვინდონი — რედინგი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ტრანმერი — იფსვიჩი | 1,4 | 3,0 | 5,0 |

### იტალია. სერია A. XVI ტური

30.XI

| | | | |
|---|---|---|---|
| ინტერი — კალიარი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |

1 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — ნაპოლი | 1,7 | 2,9 | 3,2 |
| იუვენტუსი — ბოლონია | 1,25 | 3,2 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| პერუჯა — ვიჩენცა | 2,0 | 2,7 | 2, |
| პიაჩენცა — მილანი | 4,0 | 3,0 | 1,5 |
| რეჯანა — ლაციო | 2,6 | 2,8 | 2,0 |
| რომა — ფიორენტინა | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| უდინეზე — პარმა | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| ვერონა — სამპდორია | 2,5 | 2,5 | 2,2 |

### იტალია. სერია B. XII ტური

30 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი — კრემონეზე | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |

1 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დი სანგრო — ჯენოა | 3,0 | 2,8 | 1,8 |
| პალერმო — ტორინო | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| კოზენცა — ჩეზენა | 1,9 | 2,6 | 3,0 |
| ემპოლი — კიევო | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| ფოჯა — რეჯინა | 1,25 | 3,1 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| ლუკეზე — ლეჩე | 2,6 | 2,6 | 2,1 |
| პადოვა — სალერნიტანა | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| რავენა — ბრეშია | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| ვენეცია — პესკარა | 3,8 | 3,1 | 1,5 |

### შოტლანდია

30 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — ჰართსი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| დანდი იუნ. — დანფერმლაინი | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| ჰიბერნიანი — მოზერველი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| რეით როვერსი — კილმარნოკი | 1,7 | 3,0 | 3,1 |

1 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — რეინჯერსი | 3,2 | 2,9 | 1,7 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. XV ტური

30 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვალენსია — სელტა | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| სპორტინგი — რეალი | 4,4 | 3,2 | 1,4 |
| ტენერიფე — რაიო ვალეკანო | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| ატლეტიკო — რასინგი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |

1 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვალიადოლიდი — ბილბაო | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| სევილია — დეპორტივო | 3,0 | 2,6 | 1,9 |
| ლოგრონიესი — ერკულესი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| კომპოსტელა — ბეტისი | 4,0 | 3,0 | 1,5 |
| სარაგოსა — ოვიედო | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| სოსიედადი — ესპანიოლი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |

2 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარსელონა — ესტრემადურა | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 4,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XII ტური.

1 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეცა — პორტუ | 5,6 | 3,2 | 1,3 |
| 1:0 | 2,4 | 3,4 | 1,7 |
| მარიტიმუ — გიმარაეში | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| რიუ ავე — ბენფიკა | 10,0 | 5,0 | 1,05 |
| 1:0 | 4,0 | 3,4 | 1,3 |
| სალგეირუში — ბელენენსეში | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ფარენსე — ბრაგა | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| ამადორა — შავეში | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ესპინიუ — ჟილ ვისენტე | 1,15 | 4,0 | 7,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| სპორტინგი — ლეირია | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 4,0 |
| ბოავიშტა — სეტუბალი | 1,6 | 2,9 | 3,6 |

### ბელგია

30 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლომელი — ლოკერენი | 1,4 | 2,8 | 5,6 |
| ანდერლეხტი — მეხელენი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| ანტვერპენი — ეკერენი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| გენტი — ბრიუგე | 3,2 | 2,6 | 1,8 |
| ლიერსი — სტანდარდი | 2,5 | 2,5 | 2,2 |
| სტ. ტრუდენი — გენკი | 2,0 | 2,7 | 2,7 |

1 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მუსკრონი — ალსტი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| სერკლ ბრიუგე — შარლერუა | 2,9 | 2,9 | 1,8 |
| ჰარელბეკი — მოლენბეკი | 1,6 | 2,7 | 4,0 |

### სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატებიდან

30 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დენიზლი — ტრაბზონი | 10,0 | 5,0 | 1,05 |
| 1:0 | 3,7 | 3,4 | 1,35 |
| ტილბურგი — როდა | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| ბრედა — გრაფსხაპი | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| ეინდჰოვენი — ნაიმეგენი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |

1 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დარდანელი — ფენერბაჰჩე | 10,0 | 4,0 | 1,1 |
| 1:0 | 3,4 | 3,4 | 1,4 |
| გალათასარაი — ანთალია | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 * | 1,3 | 3,4 | 4,0 |
| გაზიანთეფი — ბურსა | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| უტრეხტი — ვოლენდამი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ვიტესი — ალკმარი | 1,15 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ვალვაიკი — სპარტა | 2,5 | 2,5 | 2,2 |
| აიაქსი — გრონინგენი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| ბაზელი — ციურიხი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| სტ. გალენი — ლოზანა | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| სერვეტი — არაუ | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| სიონი — ქსამაქსი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| გრასჰოპერი — ლუგანო | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |

### ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | |
|---|---|---|
| გერმანია (XVI ტური) | 25 და ნაკლები - 1,9 | 27 და მეტი -1,9 |
| ინგლისი (XV ტური) | 25 და ნაკლები - 1,9 | 27 და მეტი -1,9 |
| საფრანგეთი (XX ტური) | 22 და ნაკლები - 1,9 | 24 და მეტი -1,9 |
| იტალია (XI ტური) | 22 და ნაკლები - 1,9 | 24 და მეტი -1,9 |
| ესპანეთი (XV ტური) | 28 და ნაკლები - 1,9 | 30 და მეტი -1,9 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

**ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე**

## CROCO-2

| ტირაჟი №98 | ტირაჟი №99 |
|---|---|
| 1. მ. გლადბახი — დუისბურგი | 1. ფორტუნა — ვერდერი |
| 2. შტუტგარტი — ბაიერნი | 2. ლიდსი — ჩელსი |
| 3. ჰანზა — არმინია | 3. პერუჯა — ვიჩენცა |
| 4. ფრაიბურგი — შალკე | 4. პიაჩენცა — მილანი |
| 5. მიუნხენი — კარლსრუე | 5. რეჯანა — ლაციო |
| 6. ლევერკუზენი — კიოლნი | 6. რომა — ფიორენტინა |
| 7. ბლექბერნი — საუთჰემპტონი | 7. უდინეზე — პარმა |
| 8. ნიუკასლი — არსენალი | 8. ვერონა — სამპდორია |

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. 7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT

გოგი ახვლედიანის

## სვეტი

# დიახ, ბატონო, ძიუდოზე მოვხვდი

ეს ძიუდო გვარიანი რამ ყოფილა, ამაში ნამდვილად დავრწმუნდი, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ სპორტის სასახლეში სწორედ იმ დროს მოვხვდი, როცა ძიუდოს ჩემპიონატი მიმდინარეობდა. იქ ორი ტატამი გაეშალათ და ერთმანეთს ერკინებოდნენ. კოსტუმ-ჰალსტუხიანი მსაჯები ტატამიზე დინჯად და უხმაუროდ მიდი-მოდიოდნენ (არც გასაკვირია, წინდებისამარა იყვნენ ამ იაპონური ჭიდაობის წესის თანხმად) და ხანდახან თუ შესძახებდნენ: „ჰაჯიმეეჰ", „მატეეჰ" „კოკააჰ", „შიდოოოჰ"

მე, როგორც ამ ჭიდაობისთვის სრულიად უცხო კაცი — არ დავმალავ და ასე ვთქვათ, ცოცხალი ძიუდოსთვის არასოდეს მიმზერია — ძალიან მიმიზიდა ამ ხმებმა: მსაჯთა ძახილმა და ტატამზე გადენილი ბრაგვანის ხმამ.

დარბაზში სამიოდე ქვედა სექტორი თუ იყო სავსე. მოედნის კიდეში ქართული გაზეთების ფოტოკორესპონდენტები იდგნენ, ცოტა აქეთ მერაბი, იგივე რატი, „სარბიელის" მწერალი და ძველი ძმობილი, ან ძიუდოისტების გენმდივანი.

მაგრამ იქ არ ჩავსულვარ. არადა, რომ ჩავსულიყავი, გვარიან ინფორმაციას მოვიპოვებდი. გადავწყვიტე უბრალოდ ჭიდაობისთვის მეცქირა და რამე-რუმეებში ჩემით გავრკვეულიყავ, თუკი ასეთ რამეს საერთოდ მოვახერხებდი. ინფორმატორი წონებსა და გვარებს აცხადებდა და მეტი რა მინდოდა?

ავედი ტრიბუნაზე და მარტო დავჯექი, ამდენი ფეხბურთისგან და ლამისთევისგან გამოლაყებული ვუყურებდი უცხოურ, შორეულ, ჩვენი სპორტსმენებისთვის საოცრად ახლობელ, შინაურ რამედ ქცეულ სანახაობას.

იქ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს ლამის ერთადერთი სახეობაა, ხმამაღლა ლაპარაკის უფლებას რომ გვაძლევს. თუმცა, რა ვიცი, ასე უცებ რას დაინახავ? თანაც, მარტო მჯდომი და თანაც პირველად.

მარტო მჯდომი... სულ ხუთ წუთს ვიყავი მარტო. ერთი ხნიერი, კეთილთვალებიანი კაცი წამომადგა თავს და ზრდილობიანად, დასავლური აქცენტით მკითხა, შეიძლება შენს გვერდით დავჯდეო? მთელი სექტორი ცარიელი იყო და, აბა რა გითხრათ? ჩანს, მარტო ყოფნა არ უნდოდა.

ჩამოჯდა და ერთხანს ჩუმად ვუმზერდით ტატამის.

მერე ვეღარ მოითმინა და უცებ, ჯიქურ მკითხა:

— ივერი ნახე გუშინ? მაგარია, ძაან მაგარია! ქართულის გარეშე ვერ იჭიდავებ ამას.

მე გავჩუმდი. არავითარი ივერი არ მინახავს. მერელა გავიგე (მისგანვე) რომ ივერი ჯიქურაულის გამო ლაპარაკობდა. საერთოდაც მალე მივხვდი, რომ ჩემს გვერდით ძიუდოს გულშემატკივარი იჯდა. ისეთი, ჩვენ რომ ფეხბურთისა გახლავართ და საათობით რომ შეგვიძლია ვილაპარაკოთ. ის ჰყვებოდა, როგორ ჩამოდიოდა პატარა მშობლიური ქალაქიდან თბილისის დიდი საერთაშორისო ტურნირის საყურებლად; მან იცოდა ნებისმიერი საჭიდაოდ გამოსული ბიჭის მონაცემები და ავ-კარგი; არ აინტერესებდა შიდაძიუდოური ჭორები და წამდაუწუმ იმეორებდა, რომ ქვეყანა წახდა, რადგან ტრიბუნები ცარიელია. ბილეთის ფასი (1 ლარი) საყოველთაო ხელმისაწვდომ რამედ უჩანდა, არცთუ მაღალ დასწრებას ხალხის გამოშტერებას აბრალებდა. ვიმეორებ, ეს იყო ძიუდოს ჩვეულებრივი ქომაგი, გარდა სიყვარულისა ამ სპორტთან რომ არაფერი აკავშირებდა.

რა დასამალია და, მე პასიურად ვპასუხობდი. ან რა უნდა მეპასუხა? ერთი ის ვუთხარი, ფრანგი ლუიე ავარიაში მოჰყვა და ხახალეიშვილმა კეთილი სურვილები უდეპეშა-მეთქი.

წვრილად გამოიკითხა ეს ამბავი. ეგ ცუდიაო, თქვა. ის თუ იმგვარად დაიმტვრა, რომ ვეღარ იჭიდავებს, რაღა ვქნათ, ვისღა უნდა შეხვდეს ხახალეიშვილიო.

მალევე მიხვდა, რომ პროფანი გახლდით, მაგრამ არ მაგრძნობინა — საქმეში გამარკვია და ტაშსაც ერთდროულად ვუკრავდით ხოლმე.

ამასობაში კი, მე რაღაცეები გავიგე.

მივხვდი, რომ ძიუდო მეტად რთული და თავისებური რამ არის და ყველაფერთან ერთად მას ფესვები, ტრადიციები და ერთგულება სჭირდება.

ასევე აღმოვაჩინე, რომ ძიუდო არის საკმაოდ მომხიბლავი სამყარო, რომელიც დღეს არცთუ იოლად ცხოვრობს. ეს არის მთელი კასტა, უზარმაზარი ლაშქარი, რომელსაც თავისი კანონები და აღათები აქვს.

მივხვდი იმასაც, რომ ორ კაცს შორის ბრძოლის ამ წესს მეტად კეთილშობილური, თუმცაღა სახიფათო წესები და ილეთები აქვს.

თავში ვთქვი, და ახლაც ვიმეორებ, ძალიან მომეწონა ძიუდოს ხმები.

როგორც შევიტყვე, მსაჯებად უფრო ქართლელები იყვნენ, მაგრამ მათ მიერ შეძახილი იაპონური სიტყვები ძალიან მელოდიურად ჟღერდა:

„ჰაჯიმეეჰ"

# იუტა სასწაულს ახდენს

**იუტა — დენვერი 107:103**

(19:37, 17:33, 36:15, 35:18)

**იუტა:** სტოქტონი (9), ჰორნაჩეკი (29), რასელი (10), მელოუნი (31), ოსტერტაგი (5); ანდერსონი (5), კიფი, მორისი (11), ფოსტერი (2), კარი (3), ეისლი (2)

**დენვერი:** ჯექსონი (6), სტისი (31), დ. ელისი (25), მაკდაიესი (15), ჯონსონი (4); ჰემონდსი (8), ბ. თომფსონი (5), მაკინისი (9), ჰემი



ჯეფ ჰორნაჩეკმა ეს-ესაა გადამწყვეტი სამქულიანი ჩააგდო.

თანადივიზიონელთა შეხვედრა თითქოს არაფრით უნდა ყოფილიყო გამორჩეული, მაგრამ სულ საწინააღმდეგო რამ მოხდა: მატჩში ნბა-ს რეკორდი დამყარდა. „იუტა" პირველი ტაიმის ბოლო წუთზე 36 ქულას აგებდა (34:70). მეორე ტაიმი იუტელებმა 71:33 მოიგეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც. ასე დიდი სხვაობა ნბა-ში აქამდე არ ამოქაჩულა. წინა რეკორდი 1988 წლის მარტში იყო დამყარებული, როცა „ფილადელფია" 27 ქულას აგებდა „ბოსტონთან", მაგრამ ბოლოს მაინც მოუგო.

„დენვერის" ახალდანიშნულმა მწვრთნელმა დიკ მოტამ მატჩის შემდეგ განაცხადა: „კარიერაში ბევრი რამ მინახავს, მაგრამ ამგვარი სასწაული — არასოდეს". მისი იუტელი კოლეგა ჯერი სლოუნი დაბნეული იყო: „პირველ ტაიმში მართლაც ვერ ვივარგეთ, მაგრამ მეორე ტაიმი სხვა საქმე იყო. როცა ასეთი ენთუზიაზმით თამაშობ, მოგების შანსიც გაქვს".

მატჩის გმირი ჯაზელთა უკანახაზელი ჯეფ ჰორნაჩეკი გახდა, რომელმაც დამთავრებამდე 41 წამით ადრე გადამწყვეტი სამქულიანი ჩააგდო. იქამდეც მივალთ, მაგრამ მანამდე ჰორნაჩეკს მოვუსმინოთ: „განსაცვიფრებელი ის იყო, რატომ ვაგებდით პირველ ტაიმში 36 ქულას. ვერაფერს ვაკეთებდით, მხოლოდ ტაბლოზე ვაკვირდებოდით ანგარიშის ცვლილებას".

მეორე ტაიმში „ჯაზი" გამოერკვა და საწყისი მონაკვეთი 23:4 მოიგო. ამ დროს კარლ მელოუნმა 10 ქულა გააკეთა და ანგარიში 74:57 გახდა. მესამე მეოთხედის შემდეგ „იუტა" 85:72 ჩამორჩებოდა, ხოლო დასკვნითი მეოთხედი 14:3 „გაქცევით" დაიწყო. მელოუნმა ფარქვეშიდან ჩააგდო, რასაც ბრაიანტ სტისმა სამქულიანით უპასუხა. ჯონ სტოქტონმა ერთი საჯარიმო ჩააგდო, კრის მორისმა — სამქულიანი, ხოლო შენდონ ანდერსონმა ჩატენით 88:80 გახადა. მორისი არ დაცხრა მელოუნის საშუალო მანძილიდან ჩაგდებამდე ზურგსუკნიდან ჩაცქა. დამთავრებამდე 6,20 წუთი რჩებოდა, ხოლო „დენვერი" ორად-ორ ქულასღა იგებდა — 88:86.

ჯეფ მაკინისის საჯარიმოთი „ნაგითსი" 91:88 დაწინაურდა. ანგარიში იმავე მორისმა გაათანაბრა სამქულიანით. სტისმა ანალოგიურად უპასუხა, მაგრამ მელოუნმა ჩატენა, ხოლო ჰორნაჩეკმა ორი საჯარიმოთი პირველად 2:0-ის შემდეგ დააწინაურა „იუტა" — 95:94. დამთავრებამდე 3,02 წუთი რჩებოდა.

სტისმა და სტოქტონმა სამქულიანები გაცვალეს, მარკ ჯექსონმა კი ერთი საჯარიმო ჩააგდო და დამთავრებამდე 1,31 წუთით ადრე 98:98 გახდა. ისევ ჰორნაჩეკმა იმარჯვა და 18 წამში „ჯაზს" ლიდერობა დაუბრუნა.

სირენამდე 59 წამით ადრე „დენვერი" უკანასკნელად დაწინაურდა — სტისმა თავისი მეშვიდე სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ ჰორნაჩეკმა დიდხანს არ გაახარა — ჯერ ნახტომში ჩააგდო, მერე კი ზემოაღნიშნული სამქულიანით თავის გუნდს საბოლოო გამარჯვება მოუპოვა. „იუტამ" ზედიზედ მერვე მატჩი მოიგო.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

27 ნოემბერი

ტორონტო რეპტორზი — შარლოტ ჰორნეთსი 92:88, დეტროიტ პისტონზი — ვანკუვერ გრიზლიზი 87:78, ორლანდო მეჯიქი — ატლანტა ჰოქსი 79:75, ბოსტონ სელტიქსი — ლოს ანჯელეს ლეიკერზი 110:94, სიეტლ სუპერსონიქსი — მინესოტა ტიმბერვულვზი 106:98, მილუოკი ბაქსი — კლივლენდ კავალიერზი 92:75, პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი — სან ანტონიო სპურზი 120:109, ფინიქს სანზი — ნიუ ჯერსი ნეთსი 99:77, იუტა ჯაზი — დენვერ ნაგითსი 107:103, მაიამი ჰითი — ლოს ანჯელეს კლიპერზი 98:82

28 ნოემბერი

ინდიანა პეისერზი — საკრამენტო კინგზი 101:83, გოლდენ სტეიტ ვორიორზი — ნიუ ჯერსი ნეთსი 124:118

### აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 11 | 4 | 73,3 |
| ორლანდო | 7 | 3 | 70,0 |
| ნიუ იორკი | 8 | 5 | 61,5 |
| ვაშინგტონი | 7 | 6 | 53,8 |
| ფილადელფია | 5 | 8 | 38,5 |
| ბოსტონი | 4 | 8 | 33,3 |
| ნიუ ჯერსი | 2 | 9 | 18,1 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩიკაგო | 13 | 1 | 92,9 |
| დეტროიტი | 11 | 2 | 84,6 |
| კლივლენდი | 9 | 4 | 69,2 |
| მილუოკი | 8 | 6 | 57,1 |
| შარლოტი | 7 | 6 | 53,8 |
| ატლანტა | 8 | 7 | 53,3 |
| ტორონტო | 4 | 9 | 30,8 |
| ინდიანა | 4 | 8 | 33,3 |

### დასავლეთის კონფერენცია

შუა-დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰიუსტონი | 13 | 1 | 92,9 |
| იუტა | 10 | 2 | 83,3 |
| მინესოტა | 5 | 8 | 38,5 |
| დენვერი | 5 | 10 | 33,3 |
| დალასი | 4 | 9 | 30,8 |
| სან ანტონიო | 2 | 12 | 14,3 |
| ვანკუვერი | 2 | 13 | 13,3 |

წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიეტლი | 13 | 3 | 81,3 |
| ლეიკერზი | 10 | 6 | 62,5 |
| პორტლენდი | 9 | 6 | 60,0 |
| კლიპერზი | 6 | 8 | 42,9 |
| საკრამენტო | 5 | 10 | 33,3 |
| გოლდენ სტეიტი | 4 | 10 | 28,6 |
| ფინიქსი | 1 | 13 | 0,71 |

## ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ტურნირი

VII ტური. 27 ნოემბერი

A ჯგუფი

ბოსნია — საქართველო 80:71
ბელარუსი — საბერძნეთი 55:79
სლოვაკეთი — ისრაელი 71:99

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 7 | 6 | 1 | 579:497 | 13 |
| ბოსნია | 7 | 5 | 2 | 529:485 | 12 |
| ისრაელი | 7 | 4 | 3 | 593:533 | 11 |
| ბელარუსი | 7 | 3 | 4 | 526:565 | 10 |
| საქართველო | 7 | 2 | 5 | 538:590 | 9 |
| სლოვაკეთი | 7 | 1 | 6 | 516:607 | 8 |

B ჯგუფი

ესტონეთი — ინგლისი 104:77
პორტუგალია — რუსეთი 75:104
ლატვია — გერმანია 98:76

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 7 | 7 | 0 | 708:497 | 14 |
| ლატვია | 7 | 5 | 2 | 565:540 | 12 |
| გერმანია | 7 | 4 | 3 | 563:580 | 11 |
| ესტონეთი | 7 | 4 | 3 | 600:595 | 11 |
| ინგლისი | 7 | 1 | 6 | 494:626 | 8 |
| პორტუგალია | 7 | 0 | 7 | 518:615 | 7 |

C ჯგუფი

ფინეთი — მაკედონია 77:85
ჩეხეთი — სლოვენია 65:84
უნგრეთი — უკრაინა 66:78

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 7 | 6 | 1 | 568:467 | 13 |
| სლოვენია | 7 | 4 | 3 | 516:461 | 11 |
| მაკედონია | 7 | 3 | 4 | 568:594 | 10 |
| ფინეთი | 7 | 3 | 4 | 592:618 | 10 |
| უნგრეთი | 7 | 3 | 4 | 514:546 | 10 |
| ჩეხეთი | 7 | 2 | 5 | 566:614 | 9 |

D ჯგუფი

ბულგარეთი — რუმინეთი 100:76
ჰოლანდია — ხორვატია 72:76
უკრაინა — თურქეთი 85:74

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 7 | 6 | 1 | 591:503 | 13 |
| თურქეთი | 7 | 5 | 2 | 532:483 | 12 |
| ხორვატია | 7 | 4 | 3 | 534:447 | 11 |
| ბულგარეთი | 7 | 4 | 3 | 580:593 | 11 |
| ჰოლანდია | 7 | 2 | 5 | 534:548 | 9 |
| რუმინეთი | 7 | 0 | 7 | 450:647 | 7 |

E ჯგუფი

შვედეთი — შვეიცარია 76:63
პოლონეთი — ლიტვა 88:69
ბელგია — საფრანგეთი 55:89

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 7 | 7 | 0 | 570:439 | 14 |
| ბელგია | 7 | 4 | 3 | 555:531 | 11 |
| პოლონეთი | 7 | 3 | 4 | 577:553 | 10 |
| ლიტვა | 7 | 3 | 4 | 595:585 | 10 |
| შვედეთი | 7 | 3 | 4 | 484:514 | 10 |
| შვეიცარია | 7 | 1 | 6 | 448:611 | 8 |



ბოსტონელთა ხორვატი დინო რაჯა უფარებს ნიკ ვან ექსელს

# როგორც ძველ დროს

**ბოსტონი — ლეიკერზი 110:94**

(29:30, 22:22, 31:21, 28:21)

**ბოსტონი:** ბაროსი (15), ფოქსი (15), უოქერი (19), ვილიამსი (18), რაჯა (19); ბრაუნი (4), ქონლონი (2), დეი (2), ბრიკოვსკი (2), მაინორი (14), საბო (2)

**ლეიკერზი:** ვან ექსელი (15), სკოტი (5), ჯოუნზი (19), კემბელი (16), ონილი (22); ფიშერი (10), ნაითი (3), ბრაიანტი (2), ბლაუნტი (2)

იყო დრო, დაახლოებით 10-15 წლის წინ, როცა ამ გუნდების შეხვედრას ეპოქალური მნიშვნელობა ჰქონდა. მაშინ „სელტიქსი" და „ლეიკერზი" ერთადერთ საზრუნავს შეეპყრო: ნბა-ს ჩემპიონები გამხდარიყვნენ და ამ გზაზე, ძირითადად, ერთმანეთს ელობებოდნენ ხოლმე. ჩრდილოელებს ლარი ბერდი ჰყავდათ, [illegible] ნიელებს — მეჯიქ ჯონსონი. [illegible] ბი მიუძღოდნენ თავ-თავიანთ გუნდებს წინ, ხოლო ამათ ჭიდილში ნბა, და, საერთოდ კალათბურთი ვითარდებოდა.

დღეს ვითარება სხვაგვარია. აღარც ლარია, აღარც — მეჯიქ. „ლეიკერზი" კიდევ ცოდვილობს რაღაცას და ფლეი-ოფში მაინც გადის. „ბოსტონმა" კი აუტსაიდერის იარლიყი მტკიცედ მიიკრა და კაცს უნებურად აფიქრებინებს, ნუთუ ამ გუნდმა ოდესმე 16-ჯერ მოიგოო ნბა-ს ჩემპიონობა.

„ლეიკერზი" ბოსტონში ფავორიტად ჩავიდა და პირველი ტაიმი ერთი ქულით მოიგო. თუმცა, „სელტიქსისთვის" ლოსანჯელესელთა დამარცხება მხოლოდ რიგითი მოგება როდია, ეს რაღაც, საკუთარი თავის დამკვიდრების თუ რწმენის გამოხატულებაცაა. ჰოდა, მესამე მეოთხედის მიწურულს როცა თამაში ქულა-ქულაზე მიდიოდა, რიკ ფოქსმა ორი საჯარიმო ჩააგდო. ამას „სელტიქსის" 13:4 „გაქცევა" მოჰყვა, რომლის დროსაც დანა ბაროსმა 5 ქულა გააკეთა.

დამთავრებამდე 2,49 წუთით ადრე მასპინძლები 96:93 იგებდნენ: „ლეიკერზმა" ზედიზედ 8 ქულა ჩააგდო. სწორედ ამ დროს გადაწყდა მატჩის ბედი: ბაროსმა და ანტუან უოქერმა ზედიზედ ჩააგდეს სამქულიანები. სტუმრები გაოგნდნენ და დარჩენილი დროის მონაკვეთი 1:14 დათმეს. ბოსტონელებმა პირველად სეზონში მოიგეს ზედიზედ მეორე მატჩი. ლეიკერზელთაგან ყველაზე შედეგიანი შაკილ ონილი იყო: 22 ქულას თან 10 მოხსნა და 5 პასიც დაურთო. შაკილმა ტრადიციულად ცუდად შეასრულა საჯარიმოები: შვიდიდან მხოლოდ ორი ჩააგდო. საერთოდ, ონილს ბოლო 19 საჯარიმოდან 12 გაცუდებული აქვს. მატჩის მერე „ლეიკერზის" ლიდერმა თქვა: „ჩვენი გუნდების მრავალწლიანი დაპირისპირება ჩემთვის არაფერს ნიშნავს. უნდა მოგვეგო, მაგრამ „სელტიქსმა" გვაჯობა: მათ ბევრი ბურთი ჩააგდეს, დაცვაშიც კარგად ითამაშეს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლდათ, რომ ჩვენზე ენერგიულად ირჯებოდნენ".

## რაგბი

# დაუდგათ ჟამი შურისგებისა

ამ უქმეებზე შარშანდელი მსოფლიო თასის ნახევარფინალების ერთგვარი გადათამაშება მოეწყობა: ბორდოში საფრანგეთი უმასპინძლებს სამხრეთ აფრიკას, თვიქენემში კი ინგლისი თუმც ახალი ზელანდიის შაოსან „ოლ ბლექსს" არ ეთამაშება, მისი მეტოქე, თვალის ასახვევად „ბარბაროსები" რომ ჰქვია და წითლადაა შემოსილი, ნაკრებს სიძლიერით სულაც არ ჩამოუვარდება. და კიდევ, კვირას კარდიფში უელსი ეთამაშება ავსტრალიას, რომელთანაც ამ ზაფხულს სტუმრად ორჯერ უსიტყვოდ წააგო.

საფრანგეთი მსოფლიო თასზე დურბანში რომ დამარცხდა, მედიამ ის თამაში წყალბურთს შეადარა, მოედანი ისე დატბორილიყო. მაშინ გაფრანგებულ მაროკოელ აბდელ ბენაზის 20 სანტიმეტრი დააკლდა ლელომდე. აფრიკელები გაძვრნენ ფინალში, სადაც ზელანდია დაამარცხეს.


ლოლო

ბენაზი ამჯერად „სამფერთა" კაპიტანი იქნება. საქმე ისაა, რომ „ქურციკების" დამხვედრი ფრანგები ერთობ გაიცხილნენ, რაკი ტრავმებმა დარიათ ხელი. ჯერ იყო და ორივე მეორეხაზელი — ოლივიე რუმა და ოლივიე მერლი დაშავდა, მერე ორივე გარემარბი — ემილ ნტამაკი და კაპიტანი ფილიპ სანტანდრე და კიდევ ბურჯი ჟან-ლუი ჟორდანაც, ბოლოს კი მათ მიემატნენ უკანახაზელები ალენ პენო და თომა კასტენიედი. ნაკრების თავკაცებმა — მენეჯერმა ჟო მაზომ და მწვრთნელმა ჟანკლოდ სკრელამ ყველაფერი იმას დააბრალეს, რომ ფრანგებს ერთობ ბევრ შინაურ თამაშში უწევთ მონაწილეობა. და ეს მაშინ, როცა სამხრეთ ნახევარსფეროში თვალის ჩინივით უფრთხილდებიან ნაკრების მოთამაშეებს და დატვირთვას უზოგავენ. გარდა ამისა, სელექტორებმა გუნდში აღარ დაუძახეს ლონდონის „ჰარლიქვინზში" მაგრად მოთამაშე ბურჯ ლორან ბენეზეშსა და ფლანკერ ლორან (ლოლო) კაბანს, აქაოდა პირველზე უკეთესები შინაც მრავლადა გვყავს, მეორე კი დაბერდა და 1999 წლის მსოფლიო თასისთვის აღარ გამოგვადგებაო.

აფრიკელები საფრანგეთს არგენტინიდან ჩავიდნენ და იგივე შემადგენლობა დაასახელეს ბორდოს ტესტისთვის. შარშანდელი მსოფლიო თასისეული გუნდიდან აღარ არიან 10 ნომერი ჯოელ სტრანსკი და კაპიტანი ფრანსუა პინარი. ამ უკანასკნელს შინ თავი მოეჭრა, რაკი უგვანოდ მოიქცა საქველმოქმედო ღონისძიებაზე და გაზეთებში გამოაჭენეს.

საქმე ასე ყოფილა: ერთ-ერთ პრესტიჟულ კლუბში პინარი და მისი ტრანსვაალელი კოლეგები, მათ შორის მწვრთნელი რეი მორდტიც, მავან ბიზნესმენებთან გოლფის სათამაშოდ დაუპატიჟიათ. მორაგბეები ისე გამომთვრალან, რომ ბოთლები მდელოზე დაუმსხვრევიათ, ბანანის ხეები ამოუძირკვავთ, ბურთაობა გაუჩაღებიათ და როგორც მათი ალვირახსნილობით დაზაფრული ოფიციანტი ქალები ამტკიცებენ, ქერა ერისშვილთა საყვარელ გართობაშიც — ნაძლევად ნიფხვის ჩახდაშიც ჩაბმულან.

ეს სკანდალი, უეჭველია, გაამაგრებს „ქურციკთა" ახალი მენეჯერი ანდრე მარკპრააფის პოზიციას, ვინაც ნაკრებიდან დაითხოვა პინარი და სამაგიეროდ ქომაგთა წყევლა-კრულვა მოიმკო. აკი აფრთხილებდა რაგბის კავშირის პრეზიდენტი ლუი ლეიტი, პინარის მოხსნას ატომური ყუმბარის ჩამოგდება გერჩიოსო.

მარკპრააფი ბორდოს ტესტის წინ, რა თქმა უნდა, იმედიანადაა, მაგრამ ფრანგთა


პინარი

ტრავმებს დიდ ყურადღებას არ აქცევს, რადგან მიაჩნია, რომ მასპინძლები ისე კარგი მობურთალები არიან, რომ ხშირად მათი სათადარიგოები ძირითად მოთამაშეებს ჯობნიან. და მაინც, თადარიგს იჭერს და ჩრდილოეთ ნახევარსფეროელ მსაჯებს მოუწოდებს, ახალ წესებს განუხრელად მისდიეთ, მეტადრე კი იმას, მბოჭავს შებოჭილისთვის ხელის დროულად გაშვებას და ფეხზე წამოდგომას რომ ავალებსო.

ინგლისელები „ბარბაროსებს" იტალიის დამმარცხებელ თხუთმეტეულს ახვედრებენ, ზელანდიელთა მწვრთნელმა ჯონ ჰართმა კი შემადგენლობაში ერთბაშად 13 „ოლ ბლექი" შეიყვანა. ჯერ ერთი კეპიც არა ჰქონიათ მოხვეჭილი მხოლოდ 8 ნომერ თეინ რენდელსა და ფიჯელ გარემარბ ჯოელი ვიდირის.


ჯოელი ვიდირი თუ ფიჯის სახელით აღარ ითამაშებს, 1998 წლიდან ზელანდიის ნაკრებში მოხვედრა შეეძლება, რაც პართს ერთობ ახარებს

„ბარბაროსებში" არიან კვაჭი შონ ფითსპატრიქი, 10 ნომერი ენდი მერთენსი, ჰავბექი ჯასთინ მარშალი, ფლანკერი მაიქლ ჯოუნზი, მეორეხაზელები იენ ჯოუნზი და რობინ ბრუქი, ბურჯი ოლო ბრაუნი. დიდ მოთამაშეთაგან გუნდს არ ახლავან მხოლოდ ზინზან ბრუქი და ფრენკ ბანსი.

ჰართმა და ფითსპატრიქმა ინგლისში გამართულ პირველსავე პრეს-კონფერენციაზე უამრავი საკითხი მომოიხილეს, მათ შორის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის — ლორი მეინსის სენსაციური განცხადებაც, შარშანდელი მსოფლიო თასის ფინალი იმიტომ წავაგეთ, რომ მიმტანმა ქალმა, ვინმე სუზიმ ყავა და ჩაი მოგვიწამლა და ფაღარათი შეგვყარაო.

ეს ინსინუაცია აფრიკელებმა კატეგორიულად უარყვეს და იქეთ შეუტიეს მეინსს, ცილს იმად გვწამებ, რომ შენი ახალი წიგნი უკეთ გასაღდესო. თითქმის იგივე, ოღონდაც უფრო რბილად და იუმორით თქვეს ჰართმა და ფითსპატრიქმა, ესაო და სუზის ამბავი პირველად გვესმის, თუმც არც ლორის ვამტყუნებთ. ისე კი, წელს რომ ვეწვიეთ იოჰანესბურგს, იმავე სასტუმროში ჩამოვხდით და სერვისით ახლაც ერთობ კმაყოფილი დავრჩითო.

## საქართველოს XXIX ჩემპიონატი

ფინალური ოთხეული

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გუმარი | 26 | 23 | 0 | 3 | 724:242 | 101-20 | 46 |
| ყოჩები | 26 | 20 | 0 | 6 | 779:225 | 108-16 | 40 |
| ქორები | 26 | 17 | 0 | 9 | 478:259 | 63-25 | 33 |
| აია | 26 | 13 | 0 | 13 | 509:296 | 64-33 | 22 |

# ჩემპიონი ვინიცობაა ორშაბათსვე გამოვლინდეს

ოფიციალური კალენდრით ორშაბათს, 2 დეკემბერს, „გუმარი" — „ყოჩების" გადამწყვეტი მატჩია. თუ ლიდერი ძლევს მდევარს, ჩემპიონი ვადამდე — ფინალური ოთხეულის ბოლო წრის დამწყებამდე გახდება. თუ გაიმარჯვებს მდევარი, სიტუაცია დაიძაბება და ბოლო წრესაც ფასი დაედება.

ქართულ რაგბში საქმე ჯერ ისე ვერაა დაყენებული, რომ პარასკევს გადაწყვეტილი იყოს ორშაბათს გასამართი მატჩის დაწყების დრო და ზოგჯერ ადგილიც. თუ რამე განსაკუთრებული არ მოხდა, ჩემპიონობის პრეტენდენტთა მეხუთე შერკინება ვაკეში, ორშაბათს, სამიდან ოთხ საათამდე დაიწყება.

ერთი ეგაა, რომ იმავ დღეს „აიაც" უნდა ეწვიოს „ქორებს" და ეს მატჩიც ვაკეშია გასამართი. ამან და რკინიგზელ ფეხბურთელთა საკვირაო მატჩმაც შეიძლება მცირე კორექტივი გახადოს აუცილებელი, რასაც რაგბის ერთგულ გულშემატკივრებს რაგბის კავშირის ოფისი ხალისით აცნობებს, თუკი ესენი მატჩის დღეს 29-47-54 ან 29-47-63 ტელეფონებით შეეხმიანებიან.

უცნობია ისიც, გათამაშდება თუ არა სინი, რომელიც „გუმარს" უპყრია. იგი უეჭველად მეტ სიმწვავეს შეძენდა ღირსეულ მეტოქეთა პაექრობას. წელს ნათამაშებ ოთხ მატჩში ხომ ანგარიში საყაიმო — ორით-ორია!

26. XI. ქუთაისი

აია 18:24 გუმარი

(10:14). მსაჯი [illegible]

აია: ჩუბინიძე; [illegible] ძაგნიძე, თედოშვილი; ტყაბლაძე, ქ. გიორგაძე; ხ. ხალვეიშვილი, [illegible] (ლუციძე), [illegible] ნიძე, ბეს. ხამაშურიძე; გოგისვანიძე, გორგიძე, აბდალაძე (კაპ). — 2ლ: ჩუბინიძე, ძაგნიძე; გ და 2ს: ძაგნიძე

გუმარი: ბ. იურინი; სორდია, კიზირია, ჯიმშელაძე, ბუგიანიშვილი; მაჩიტიძე, მოდებაძე; მთიულიშვილი, ხუციშვილი, ცაბაძე; მჭედლიშვილი, პარწიკანაშვილი; ობოლაძე (კაპ), ზვ. პინაიშვილი, დიდებულიძე. — 3ლ: პარწიკანაშვილი, ჯიმშელაძე, მაჩიტიძე; 3გ და ს: მოდებაძე

| ბომბარდირები | | ლ | გ | ს | ა | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტეფნაძე | ყოჩები | 1 | 5 | 30 | 3 | 114 |
| მოდებაძე | გუმარი | 1 | 10 | 15 | 1 | 73 |
| ე. ძაგნიძე | აია | 1 | 5 | 13 | 2 | 60 |
| მაჩიტიძე | გუმარი | 3 | 8 | 8 | - | 55 |
| წეველიძე | ქორები | - | 3 | 7 | 1 | 30 |
| ძნელაძე | ქორები | 1 | 3 | 6 | - | 29 |
| ჩაველეიშვილი | ქორები | - | 2 | 4 | 4 | 28 |
| ბუგიანიშვილი | გუმარი | 5 | - | - | - | 25 |

მელელოვეები:

5 ბუგიანიშვილი
4 ჯაფარაშვილი (ქორები)
3 დიდებულიძე (გუმარი), აბდალაძე (აია), მაჩიტიძე
2 კობახიძე (გუმარი), ჯიმშელაძე (გუმარი), ენუქიძე (ყოჩები), წიკლაური (ყოჩები), ვაშაძე (ქორები), ასათიანი (ქორები), იობიძე (აია), ფირცხალავა (აია), ტყაბლაძე (აია)

მეარეკნეები:

ჩაველეიშვილი 4; ტეფნაძე 3; ძაგნიძე 2

უელსი — ავსტრალიის ტესტში ისტორიული ამბავი მოხდება: მასპინძელთა 10 ნომრად ითამაშებს 34 წლის ჯონათან დევისი, რომლის ნაკრებში დაბრუნება რა გამოცხადდა, მატჩის ბილეთები მყის ათმაგი სიჩქარით გასაღდა, რაკი ამ დიდ მოთამაშეს რაგბი ნაკრებში უკანასკნელად 1988 წელს უთამაშია, მერე კი ლიგის რაგბისთვის შეულევია ნიჭი.

ჯონათანს მხარს კიდევ ორი ექს-ლიგელი დაუმშვენებს — შუამარბი სქოთ გიბსი და ბურჯი დევიდ იანგი. ამათი ლიგური აგრესიულობა მასპინძლებს ძალიან წაადგებათ, მით უფრო, რომ ავსტრალიელ „ვოლაბებს" აღარ ეყოლებათ დერეფნის უმთავრესი მომგები — დაშავებული კაპიტანი ჯონ ილზი. მის ადგილზე მოსალოდნელია ვეტერან თიმ გევინის ანაც ჯეელ დევიდ გიფინის დაყენება. რაც შეეხება 100 კეპის პატრონ 34 წლის გარემარბ დევიდ ქემპიზის, იგი 21 კაცის სიაში კი დაასახელეს, მაგრამ საეჭვოა, მატჩი დააწყებინონ.

## აის-ჰოკეი

## ეროვნულ ლიგაში

**27 ნოემბერი. ჰარტფორდი — ვანკუვერი 2:6, პიტსბურგი — მონრეალი 2:2, აილენდერზი — ფილადელფია 4:1, ვაშინგტონი — ოტავა 1:2, ტამპა — ბუფალო 0:3, დეტროიტი — ტორონტო 5:2, დალასი — ნიუ-ჯერზი 2:3, კოლორადო — რეინჯერზი 2:5, ედმონტონი — ლოს-ანჯელესი 1:5, სან-ხოსე — ჩიკაგო 3:2, ანაჰაიმი — სენტ-ლუისი 2:3**

24 წლის ფილადელფიელი ლინდროსი კვლავ დაუბრუნდა ყინულს. „მფრინავების" კაპიტანმა პირველად ბოსტონში ითამაშა, ხოლო მეორე შეხვედრაში ლეკლერთან და რენბერგთან შემხანაგებული პირველ სამეულში მოგვევლინა. თუმცა მისმა გუნდმა ვერაფერი გააწყო ლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერთან. გაცოფებულმა ლინდროსმა ისღა მოახერხა, რომ აილენდერზის მოჩხუბრებს დაერია.

უმცირესობაში დარჩენილმა პიტსბურგელმა იაგრმა მესამე პერიოდში დასაჯა შეტევაში გართული მონრეალი და ქულა გადაარჩინა. ეს ჩეხის მე-19 გოლია. როგორც ყოველთვის, აქტიურობდა მონრეალელი კოივუ.

კვლავ გაიბრწყინა „რეინჯერმა" მესიემ. დასავლეთის ლიდერ კოლორადოს მან ორი შაიბა შეუგდო და თავის კლუბს გამარჯვება მოუტანა. აღნიშვნის ღირსია ლიგის ყველაზე დაბალხელფასიანი მოთამაშის — ფლეტლის (125 ათასი დოლარი) 2 გოლი და ნიუ-იორკელთა კიდევ ერთი ვარსკვლავის — ლიჩის 13-მატჩიანი შედეგიანი სერია (5+13). ახლა ლიჩი მცველთა დავაში პირველია — 27 (7+20). კოლორადოს გოლკიპერმა რუამ შეწყვიტა 12-მატჩიანი დაუმარცხებელი სერია.

დამარცხდა წინა ტურში კარგად მოასპარეზე ყველა კლუბი. ვაშინგტონმა (11 ქულა 6 თამაშში) მოულოდნელად წააგო ოტავასთან. „სენატორების" წამყვან ჰოკეისტებს თამაში არ წაუვიდათ, სამაგიეროდ, 1993 წლის დრაფტის პირველი ნომერი — დაიგლი ორივე საგოლე კომბინაციაში მონაწილეობდა.

# ლინდროსი დაბრუნდა, მესიე კი გაბრაზდა



სამი მოგების შემდეგ მარცხი იწვნია ედმონტონმა. იგი თანა-დივიზიონელ ლოს-ანჯელესს ვერ გაუმკლავდა. "მეფეთა" რიგებში სულ უფრო დიდ როლს თამაშობენ რუსები: გუნდის მთავარი ბომბარდირი ხრისტიჩის (5+17) თავკაცობით. ამჯერად რუსებმა 3 შაიბა გაახერხეს.

ბოლო მატჩებში კრიზისს თითქოს თავდაღწეული ანაჰაიმი (3 მოგება და ფრე) სენტ-ლუისთან დამარცხდა. ბლუზმენთაგან ლიდერების — ჰილის და კურტნოლის გარდა სლოვაკმა დებიუტანტმა, გადამწყვეტი შაიბის გამტანმა პეტროვიცკიმ გამოიჩინა თავი.

სამაგიეროდ, ვაშინგტონის მიერ ორჯერ „ნაცემმა" ნიუ-ჯერზიმ მოახერხა ლიდერის — დალასის შეჩერება, რაშიც დიდია გოლკიპერ დანჰემის (31 მოგერიება) წვლილი.

ბოლო დროის კიდევ ორი უიღბლო კლუბი — სან-ხოსე (1 ქულა 6 თამაშში) და ჩიკაგო დაუპირისპირდა ერთმანეთს. სანხოსელებმა შეხვედრის ბედი მეორე პერიოდშივე გადაწყვიტეს თავიანთ სასარგებლოდ — 3:1. ჩიკაგოელმა ამონტემ მე-16 შაიბა შეაგდო.

დალასის წაგებით ცენტრის მეორე ლიდერმა — დეტროიტმა ისარგებლა. როგორც ჩანს, ახალ კლუბს საბოლოოდ შეეგუა ამ მატჩში ჰეთ-თრიქის შემსრულებელი შენაჰანი, ვინაც ამ მიღწევის შემდეგ 14 შაიბით მესამე ადგილზე მყოფ ოთხ სნაიპერს დაეწია. ტორონტოელმა სუნდინმა ბოლო 8 თამაშში 12 (4+8) ქულა გააკეთა და 33 (14+19) ქულა დაუგროვდა. შვედი ისევე, როგორც აიზერმანი 34 (9+25) და მონრეალელი კოივუ 34 (11+23), მიუახლოვდა საკიკ — ფორსბერგის კოლორადოულ წყვილს.

ერთობ დაიძაბა სიტუაცია ჩრდილო-აღმოსავლეთში. აქამდე კარგად მოასპარეზე ჰარტფორდმა ბოლო მატჩებში წაიფორხილა და მას მონრეალი დაეწია, თუმც კი 4 მატჩით მეტი აქვს ჩატარებული. არასტაბილურად მოთამაშე ვანკუვერთან ჰარტფორდი კარგა ხანს იგებდა დაინინის (სულ 6) გოლის წყალობით, მაგრამ შემდეგ 6 შაიბა მიიღო საკუთარ კარში.

**28 ნოემბერი. კალგარი — ლოს-ანჯელესი 2:0, ფინიქსი — ნიუ-ჯერზი 4:3**

ედმონტონთან შერცხვენის შემდეგ კალგარიმ მონდომებით ითამაშა ლოს-ანჯელესთან. იყოჩაღა დებიუტანტმა მეკარე როულსონმა (1 მოგება ნჰლ-ში) — „მეფეებისგან" მეორედ აღარ გაუშვა შაიბა.

როგორც იქნა, ფინიქსში მოიძებნა ლიდერი. ეს ტვირთი გუნდის კაპიტანმა ტკაჩუკმა იდო თავს. მან თავისი ჰეთ-თრიქით (6 შაიბა 4 თამაშში) კლუბს ორი გამარჯვება მოუტანა ბოლო 11 მატჩში.

და ბოლოს, ერთი მიღწევის შესახებ: მარკ მესიე 553-ე შაიბით მე-13 გახდა ნჰლ-ში.

ჩრდილო-აღმოსავლეთი: ჰარტფორდი 29 ქულა (21 თამაშში), მონრეალი 29 (25)... პიტსბურგი 16 (22)

ატლანტიკა: ფლორიდა 35 (23), ნიუ-ჯერზი 25 (22), ვაშინგტონი 25 (23), ფილადელფია 25 (25)... ტამპა 16 (21)

ცენტრი: დეტროიტი 31 (25), დალასი 29 (23), სენტ-ლუისი 26 (24), ჩიკაგო 25 (25)... ფინიქსი 18 (23)

წყნარი ოკეანე: კოლორადო 34 (25), ვანკუვერი 26 (22), ედმონტონი 25 (25)... ანაჰაიმი 16 (24)

სამველ ლარიბიანი

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

## ევროლიგა

ორი კვირის განმავლობაში ევროლიგის ხუთივე ჯგუფის გუნდები ბოლოსწინა ტურის მატჩებს ატარებდნენ. „ა" ჯგუფში მეოთხედფინალისტი გამოვლინდა — კიდევ ერთმა ფინურმა კლუბმა, ტპს-მ გერმანიის „ბერლინთან" გამარჯვების შემდეგ საჭირო 9 ქულა დააგროვა. მეოთხედფინალში გასვლის შანსი შვედეთის „ლულეოსაც" აქვს. მას შინ იმავე „ბერლინთან" ელის შეხვედრა. „დ" ჯგუფში შვეიცარიის „ბერნსაც" არ დაუკარგავს მეოთხედფინალისტობის იმედი.

„ბ", „ც" და „ე" ჯგუფებში ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა. ჩეხურ-რუსულ ორ მატჩიან დუელში „სპარტამ" იმარჯვა. ჩეხებს აუტსაიდერ „ვენასთანღა" დარჩათ სათამაშო, ასე რომ, მეოთხედფინალის საგზური თითქმის ხელთა აქვთ. „ბ" ჯგუფში „ჩესკე" ერთპიროვნულ ლიდერს — „დინამოს" მიუახლოვდა, საჭირო 7 ქულას ალბათ მესამე ჩეხური კლუბი — „ე" ჯგუფში მოასპარეზე „ლიტვინოვიც" დააგროვებს.

ქულა და შემდეგ წრეში გასვლის შანსი დაკარგა „ლუკომ". მის დარად, თეორიული შანსიღა დარჩა შვედურ „ფერიესტადსაც".

„ა" ჯგუფი: მანჩესტერი (ინგლისი) — ლულეო 0:11, ბერლინი — ტპს 0:2

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტპს | 4 | 1 | 0 | 18- 5 | 9 |
| ლულეო | 3 | 1 | 1 | 29-13 | 7 |
| ბერლინი | 2 | 0 | 3 | 13-14 | 4 |
| მანჩესტერი | 0 | 0 | 5 | 9-37 | 0 |

„ბ" ჯგუფი: დინამო — ჩესკე 2:6, ვოლერენგენი (ნორვეგია) — ფერიესტადი 1:4

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 3 | 1 | 1 | 19-10 | 7 |
| ჩესკე | 2 | 2 | 1 | 16-11 | 6 |
| ფერიესტადი | 2 | 1 | 2 | 17-16 | 5 |
| ვოლერენგენი | 1 | 0 | 4 | 8-23 | 2 |

„ც" ჯგუფი: სპარტა — ცსკა 4:2, სლოვანი (სლოვაკეთი) — ვენა (ავსტრია) 6:5

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 4 | 0 | 1 | 24-11 | 8 |
| სლოვანი | 3 | 0 | 2 | 26-18 | 6 |
| ცსკა | 3 | 0 | 2 | 19-15 | 6 |
| ვენა | 0 | 0 | 5 | 9-34 | 0 |

„დ" ჯგუფი: მილანი (იტალია) — ბერნი 3:4

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იოკერიტი | 5 | 0 | 0 | 25- 7 | 10 |
| ბერნი | 2 | 2 | 1 | 18-15 | 6 |
| კიოლნი | 1 | 2 | 2 | 13-10 | 4 |
| მილანი | 0 | 0 | 5 | 12-36 | 0 |

„ე" ჯგუფი: ფრელუნდა (შვედეთი) — ლიტვინოვი 6:2, რუანი (საფრანგეთი) — ლუკო 7:7

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფრელუნდა | 3 | 1 | 1 | 19- 7 | 7 |
| ლიტვინოვი | 2 | 2 | 1 | 20-17 | 6 |
| ლუკო | 2 | 1 | 2 | 20-24 | 5 |
| რუანი | 0 | 2 | 3 | 14-15 | 2 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მემველია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29